დანართი №4

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი „ბათუმი“

ვიზიტის განხორციელების თარიღი: 2025 წლის 25 და 26 ნოემბერი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 14 იანვარი, 2026

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

სალომე ვარანოვა, სსიპ - თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ თხელიძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველიო

2026 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	980
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	აქტიური: 851 შეჩერებული: 124
აქტიური და სტატუსშეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 815 შეჩერებული: 121
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: 60 მათ შორის აფილირებული: 49 მოწვეული: 131 სამეცნიერო:
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	24.06.2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 08 ივლისი №689396

ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	6/24/2027
სტუდენტთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	1400

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

ვიზიტის მთავარი მიზანი მოიცავდა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტში **სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის** დადგენას და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაეცნო უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ დოკუმენტაციას. უსდ-ში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25-26 ნოემბერს. შეხვედრები ჩატარდა პირისპირ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ჰიბრიდული ფორმატი - რამდენიმე თანამშრომელმა ონლაინ რეჟიმში მიიღო მონაწილეობა გასაუბრებებში. ვიზიტი გაიმართა პროფესიონალურ და მშვიდ ატმოსფეროში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (დირექტორი, რექტორი, ვიცე - რექტორი), თვითშეფასების ჯგუფი, აკადემიურ და სკოლის საბჭოები, დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საგამოცდო ცენტრის, მატერიალურ-ტექნიკური და ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საგამოცდო ცენტრი, მატერიალურ-ტექნიკური და ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი (მედიცინა, სტომატოლოგია, (განათლების ადმინისტრირება,საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა), მოწვეულ პერსონალი (ყველა პროგრამასთან დაკავშირებით), კლინიკურ სწავლებაში ჩართულ პერსონალი, კლინიკური უნარების ცენტრის და ლაბორატორიის წარმომადგნელბები, ადამიანური რესურსები, საფინანსო, საქმისწარმოების და იურდიული სამსახურების წარმომადგენლები, სტუდენტთა მხარდაჭერისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურები, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აქტიურ სტუდენტები (მედიცინა, სტომატოლოგია), კურსდამთავრებულები (მედიცინა, სტომატოლოგია).

დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი საკითხების დასაზუსტებლად, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი მასალები, რომლებიც უნივერსიტეტმა დროულად წარმოადგინა. ჯგუფმა შეაფასა უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი მასალები ავტორიზაციის ყველა შვიდი სტანდარტის კონტექსტში, გაითვალისწინა სტუდენტთა ადგილების გაზრდის პერსპექტივა. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რამდენიმე რეკომენდაცია. დაწესებულებას მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს მიღწეული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში. უნივერსიტეტი პერსონალის შერჩევისას აქცენტს აკეთებს კვალიფიციურ კადრებზე. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა 3 კლინიკა.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არსებული რესურსებით უნივერსიტეტის რეალური შესაძლებლობა შეადგენს დაახლოებით 1180-1200 სტუდენტის მომსახურებას მედიცინის პროგრამებზე პლუს 80-100 სტუდენტს სამაგისტრო პროგრამებზე, რაც ჯამში შეადგენს დაახლოებით 1280-1300 სტუდენტს. 1400 სტუდენტამდე გასაზრდელად აუცილებელია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება და აკადემიური პერსონალის გაფართოება. უნივერსიტეტის მენეჯმენტს შემუშავებული აქვს გეგმა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კადრების მოზიდვის კუთხით, ხოლო სტუდენტთა კონტინგენტის 1400-მდე გაზრდას გეგმავს ეტაპობრივად, სამი წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

BAU ინთერნეიშენალ უნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის, სტრატეგიული და ადმინისტრაციული მართვის და აკადემიური სერვისების თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით გამდიდრებას. ეს ტრანსფორმაცია წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას და მიზნად ისახავს სასწავლო გარემოს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოცდილების გაუმჯობესებას და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურობის ამაღლებას.

BAU ინთერნეიშენალ უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა არის მჭიდრო და მრავალფეროვანი თანამშრომლობა წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის უნიკალურ შესაძლებლობებს პრაქტიკული უნარების განვითარებისა და კლინიკური გამოცდილების შეძენისთვის. ეს თანამშრომლობა სცილდება ფორმალურ პარტნიორობას და წარმოადგენს ღრმა, სტრუქტურირებულ ინტეგრაციას სასწავლო პროცესისა და კლინიკური პრაქტიკის შორის.

განსაკუთრებული აღსანიშნავია უნივერსიტეტის მჭიდრო კოორდინაცია BAU საერთაშორისო ჰოსპიტალთან, რომელიც არის უნივერსიტეტის ძირითადი კლინიკური ბაზა და სასწავლო ჰოსპიტალი. ეს პარტნიორობა ითვალისწინებს სტუდენტების სისტემატურ ჩართვას კლინიკურ პროცესებში, დაწყებული დაკვირვებებიდან უფროსი კურსების სტუდენტებისთვის აქტიური მონაწილეობით რეალურ სამედიცინო საქმიანობაში კვალიფიციური ზედამხედველობის ქვეშ.

BAU ინთერნეიშენალ უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პროგრესია და ძლიერი მხარე არის მისი აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და სამეცნიერო მიღწევები. უნივერსიტეტი დიდ ძალისხმევას ახორციელებს მაღალკვალიფიციური აკადემიური კადრების მოსაზიდად, შესანარჩუნებლად და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის, რაც ქმნის ცოცხალ და დინამიურ ინტელექტუალურ გარემოს როგორც სწავლებისთვის, ისე კვლევისთვის.

BAU ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი მნიშვნელოვან და სისტემატურ ყურადღებას უთმობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას. ამ მიდგომის შედეგად, ბოლო წლებში შეინიშნება სამეცნიერო პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც გამოიხატება როგორც კვლევითი პროექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდით, ისე სამეცნიერო პუბლიკაციების მნიშვნელოვანი ზრდით მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.

სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის მიზნით განხორციელდა ინფრასტრქუტურული ღონისძიებები.

რეკომენდაციების შეჯამება[1]

1. **რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაზარდოს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები.**
2. **რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების სისტემური ინფორმირება ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესებზე.**
3. **რეკომენდებულია უსდ-მ ვებ-გვერდზე განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია: საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის პროგრამების კატალოგი, სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი კომპეტენციები და მინიჭებული აკადემიური ხარისხი, ასევე როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მონაცემები.**
4. **სტუდენტების ხარისხიანი მომსახურების მიზნით რეკომენდებულია საგამოცდო ცენტრს დაემატოს 20-30 კომპიუტერი.**
5. **რეკომენდებულია 1250 სამედიცინო პროგრამის სტუდენტისათვის უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი რაოდენობის სალექციო და სასემინარო აუდიტორიული რესურსი.**

[1] საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

რჩევების შეჯამება

- სასურველია მისიაში პირდაპირ იყოს ხაზგასმული დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადების კომპონენტი.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

- *საუკეთესო პრაქტიკა 1*

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილზე ნაკლები ზღვრული რაოდენობის მისაღებად;

☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის სტუდენტთა არსებული და არა მოთხოვნილი[2] ზღვრული რაოდენობის მისაღებად.

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტს.

[2] იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 უსდ-ის მისია
1.2 სტრატეგიული განვითარება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითეტი ბათუმის მისიის განაცხადი განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ღირებულებებსა და როლს საზოგადოებაში. მისიის დოკუმენტში მკაფიოდაა გაცხადებული უნივერსიტეტის როლი სამივე დონეზე - ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო მასშტაბით. ადგილობრივ დონეზე უნივერსიტეტი თავისი როლს ხედავს საერთაშორისო პარტნიორობით მიღებული გამოცდილების გამოყენებაში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. ეს მიდგომა ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ინოვაციების ტრანსფერს ქართულ საგანმანათლებლო გარემოში. რეგიონულ დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აჭარის რეგიონის საგანმანათლებლო სივრცის განვითარებას. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო გამოცდილების ადგილობრივ კონტექსტში ადაპტირებასა და დანერგვაზე.მსაერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის როლი მრავალმხრივია. პირველ რიგში, ის ხელს უწყობს განათლების გლობალიზაციის მიზნებს მულტიეროვნული და მულტიკულტურული საგანმანათლებლო გარემოს შექმნითა და განვითარებით. აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით უნივერსიტეტი მუშაობს საქართველოს საგანმანათლებლო სფეროს, აკადემიური რესურსისა და საგანმანათლებლო ბაზრის პოპულარიზაციაზე მსოფლიო მასშტაბით. მისია ასახავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. ცოდნის შექმნისა და გაზიარების როლი კარგად არის ასახული მისიაში. უნივერსიტეტი ადგენს გამოყენებითი კვლევების განხორციელებას, დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების საზოგადოებასთან გაზიარებას, როგორც საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას. ეს კომპონენტი პირდაპირ უკავშირდება უმაღლესი განათლების ფუნდამენტურ მისიას - ახალი ცოდნის გენერირებასა და მის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.

მისია ხაზს უსვამს გლობალურად გამოყენებადი უნარების, სამეცნიერო ხედვის, მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და ლიბერალური ფასეულობების მქონე პროფესიონალების ჩამოყალიბების მნიშვნელობას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტების ჰოლისტიკურ განვითარებას, რომელიც სცილდება მხოლოდ პროფესიულ მომზადებას.

შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი ცენტრალური თემაა მისიის განაცხადში უნივერსიტეტი თავის მისიად განსაზღვრავს საერთაშორისო სამიზნე ნიშნულებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, რომელიც კურსდამთავრებულთა მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს. ასევე ხაზგასმულია სტუდენტების მოლოდინი მსოფლიო მასშტაბით დასაქმებასთან მიმართებით.
თუმცა, მისიაში პირდაპირ არ არის ხაზგასმული დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადების კომპონენტი. მართალია, მისიაში მოხსენიებულია ლიბერალური ფასეულობების ჩამოყალიბება, რაც გარკვეულწილად გულისხმობს დემოკრატიულ პრინციპებს. საზოგადოებასთან ურთიერთობა არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო სოციალური პროექტების განხორციელებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის მეშვეობით, რაც ასახავს უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობას.
უნივერსიტეტის საერთაშორისო ორიენტაცია და პროფილი ძალიან ნათლად ჩანს. უნივერსიტეტი ხაზს უსვამს უმაღლესი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების დანერგვას, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას და მულტიეროვნულ, მულტიკულტურულ საგანმანათლებლო გარემოს. ინოვაციურობა წარმოადგენს უნივერსიტეტის კიდევ ერთ მთავარ მახასიათებელს. მისია პირდაპირ მიუთითებს სწავლების ინოვაციური მეთოდების შეთავაზებაზე, მოქნილ და ინოვაციურ მიდგომებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო სერვისზე. ამრიგად, მისია ასახავს უნივერსიტეტის პროფილსა და ძირითად მიმართულებებს,

ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტი ბათუმის სტრატეგიული გეგმა მოიცავს მისიის განცხადებას, სტრატეგიულ გეგმას 2021-2027 წლებისთვის, სამოქმედო გეგმას და სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიას.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმაში ჩანს კავშირი სტრატეგიულ გეგმასა და ინსტიტუციურ მიზნებს შორის. სტრატეგია სტრუქტურირებულია სამი ძირითადი მიმართულებით, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიისა და ხედვიდან.
პირველი სტრატეგიული მიმართულება ეხება სწავლებისა და კვლევის განვითარებას. ამ მიმართულებით სტრატეგია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, საგანმანათლებლო მომსახურების არეალის გაზრდას, სამეცნიერო კვლევის გაძლიერებას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობას და ინტერნაციონალიზაციას სწავლებაში, კვლევასა და ხარისხის უზრუნველყოფაში. ეს

პირდაპირ შეესაბამება მისიაში გაცხადებულ ამოცანას განათლების სფეროში უმაღლესი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების დანერგვასა და ინოვაციური მეთოდების შეთავაზებაზე.
მეორე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს ორგანიზაციულ განვითარებას. ამ მიმართულებით განსაზღვრულია სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის, ორგანიზაციული ეფექტურობის, პერსონალის განვითარების და უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობის ამაღლების ამოცანები. ეს შეესაბამება მისიაში აღნიშნულ ეფექტური მენეჯმენტისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების განვითარების პრინციპს.
მესამე სტრატეგიული მიმართულება ეხება ინფრასტრუქტურულ განვითარებას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ეს უზრუნველყოფს მატერიალურ ბაზას მისიისა და ხედვის განხორციელებისთვის.
სტრატეგია აგებულია იერარქიული სტრუქტურით, სადაც თითოეული მიმართულება შეიცავს კონკრეტულ მიზნებს, მიზნები იშლება ამოცანებად, ხოლო ამოცანები კონკრეტიზდება ქვეამოცანებით. ყოველი დონე ლოგიკურად უკავშირდება წინა დონეს და უზრუნველყოფს მის განხორციელებას. ეს სისტემური მიდგომა იძლევა გარანტიას, რომ სტრატეგიული აქტივობები არ არის ქაოტური, არამედ მიმართულია ერთიანი ინსტიტუციური მიზნების მიღწევისკენ.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია ადგენს ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორებს, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სტრატეგიის ეფექტურობა მიზნების მიღწევის კუთხით. ეს ინდიკატორები მოიცავს როგორც აკადემიურ მაჩვენებლებს, ასევე ორგანიზაციულ და ფინანსურ ინდიკატორებს, რაც კომპლექსურ სურათს იძლევა უნივერსიტეტის განვითარებაზე.

ანალიზი აჩვენებს, რომ სტრატეგიული მიზნები პირდაპირ უკავშირდება მისიის განცხადებას და საქმიანობის პრიორიტეტებს. მისიიდან გამომდინარეობა ჩანს სტრატეგიული გეგმის სტრუქტურაში. მისია აცხადებს, რომ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს უმაღლესი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების დანერგვას, სწავლების ინოვაციური მეთოდების შეთავაზებას და მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას. ამ მისიის რეალიზებისთვის სტრატეგია ადგენს კონკრეტულ მიზნებს თითოეულ მიმართულებაში.
მაგალითად, პირველი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული მიზანი საგანმანათლებლო მომსახურების არეალის გაზრდის შესახებ პირდაპირ გამომდინარეობს მისიიდან და ითვალისწინებს სარეზიდენტო პროგრამის მომზადებას, სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას, სასერტიფიკატო პროფესიული მომზადების პროგრამების ამოქმედებას და კლინიკურ ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოებას.
მიღწევადობა უზრუნველყოფილია რეალისტური სამიზნე ნიშნულების დადგენით. მაგალითად, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციულ პერსონალთან დაგეგმილია პოზიტიური განვითარების დინამიკით, რაც ითვალისწინებს თანდათანობით გადასვლას კონკრეტული

თანაფარდობებისკენ. საწყისი მაჩვენებელი ერთი ერთის მიმართ იგეგმება გაიზარდოს ორი ერთამდე 2026 წლისთვის.
სტრატეგია მოიცავს შვიდწლიან პერიოდს 2021-დან 2027 წლამდე, ხოლო თითოეული ამოცანისთვის კონკრეტულად არის მითითებული შესრულების წელი ან წლები. სამოქმედო გეგმა კი უფრო დეტალიზებულია და ყოფს სტრატეგიულ პერიოდს სამწლიან ციკლებად. მიმდინარე სამოქმედო გეგმა მოიცავს 2024-2026 წლებს და თითოეული ამოცანისთვის დეტალურად არის განსაზღვრული განხორციელების კონკრეტული წელი.
გაზომვადობა უზრუნველყოფილია ინდიკატორების ორმაგი სისტემით. პირველ რიგში, არსებობს რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც რიცხვობრივად გამოხატავენ მიზნების მიღწევას. მაგალითად, საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა დაგეგმილია გაიზარდოს 723-დან 800-მდე 2026 წლისთვის, ხოლო დასავლური ბაზრის წილი მათ რაოდენობაში უნდა გაიზარდოს 17 პროცენტიდან 35 პროცენტამდე 2027 წლისთვის.
მეორე რიგში, ხარისხობრივი ინდიკატორები განსაზღვრავენ მიზნების მიღწევის თვისობრივ ასპექტებს. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების განახლებისას ხარისხობრივი ინდიკატორი ადგენს, რომ განახლებული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს გარე რეკომენდაციების ოთხმოცდაათ პროცენტს.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია იყენებს SMART კრიტერიუმებს მიზნების ფორმულირებისას. თითოეული მიზანი არის სპეციფიური, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში გაწერილი. ეს მეთოდოლოგიური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მიზნები არ არის აბსტრაქტული დეკლარაციები, არამედ კონკრეტული და შესასრულებელი ამოცანები.

უსდ ასევე შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების სუბიექტებს. კონკრეტულად, მეთოდოლოგია ადგენს სამ ძირითად სუბიექტს: სტრატეგიის განვითარების ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიის პროექტის შემუშავებაზე და შედგება ადმინისტრაციის მმართველი რგოლის, პროფესორებისა და სტუდენტების წარმომადგენლებისგან; სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც ახორციელებს სტრატეგიის შესრულების შეფასებას; და ვიცე-რექტორებს, რომლებიც კოორდინირებენ სტრატეგიული ინიციატივების განხორციელებას აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებებით.
სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრის მეთოდოლოგია დამყარებულია მტკიცებულებების საფუძველზე. მეთოდოლოგია ადგენს თოთხმეტ ინფორმაციის წყაროს, რომელთა საფუძველზეც უნდა განისაზღვროს სტრატეგიული ამოცანები. ეს წყაროები მოიცავს მისიის განაცხადს, უნივერსიტეტის ხედვას, წინა პერიოდის სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო პროგრამებს, ორგანიზაციის სტრუქტურას, ბიუჯეტს, სიტუაციური ანალიზის მატრიცას, კმაყოფილების კვლევებს, შრომის ბაზრის კვლევას, სამიზნე ნიშნულებს, შესრულების ინდიკატორებს, ანგარიშებს და გარე შემფასებელთა რეკომენდაციებს.

თითოეული ინფორმაციის წყაროსთვის მეთოდოლოგია ადგენს ზოგად მოთხოვნებს, არსებულ სტრატეგიასთან მიმართებას და ახალ სტრატეგიასთან დამოკიდებულებას. მაგალითად, მისიისთვის ზოგადი მოთხოვნა არის, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების არსებულ მდგომარეობას, ადგილობრივ და საერთაშორისო როლს და ძირითად მახასიათებლებს. არსებულ სტრატეგიასთან მიმართებაში, მიღწეული სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად შესაძლებელია მისიის გადახედვა. ხოლო ახალ სტრატეგიასთან მიმართებაში, სტრატეგიული ამოცანები უნდა გამომდინარეობდეს მისიის განაცხადიდან.

სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი მკაფიოდ სტრუქტურირებულია ცხრა ეტაპად. თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრულია ძირითადი კითხვები, შეფასების ინფორმაციის წყაროები, მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები. ეს ეტაპები მოიცავს მისიის შეფასებას, ხედვის შეფასებას, სტრატეგიული გეგმების შეფასებას, პროგრამების შეფასებას, სტრუქტურის შეფასებას, ბიუჯეტის შეფასებას, სიტუაციური ანალიზის შეფასებას, კმაყოფილების კვლევის შეფასებას და შრომის ბაზრის კვლევის შეფასებას.

მეთოდოლოგია დეტალურად აღწერს სიტუაციური ანალიზის განხორციელების მეთოდს. ადგენს, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე ხორციელდება უნივერსიტეტის სიტუაციური ანალიზი, რომლითაც განისაზღვრება უპირატესობები და განვითარების შესაძლებლობები. ამ ანალიზის საფუძველზე ყველა სტრუქტურული ერთეული ახდენს თავისი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას.

რისკების ანალიზის მეთოდოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს რისკების შეფასების მატრიცის გამოყენებას, რომელიც აფასებს როგორც რისკის დადგომის შესაძლებლობას, ისე მისი გავლენის დონეს. მატრიცა იყენებს ხუთბალიან სკალას შესაძლებლობისთვის და ოთხბალიან სკალას გავლენისთვის, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას რისკის რიცხვითი მაჩვენებელი ერთიდან ოცამდე.

მეთოდოლოგია ასევე ადგენს მიზნების ფორმულირების წესებს. კონკრეტულად განსაზღვრულია, რომ მიზნები და ამოცანები უნდა გამომდინარეობდეს მისიიდან, შეესაბამებოდეს ხედვას და ღირებულებებს, იყოს იერარქიულად სტრუქტურირებული და ჩამოყალიბებული SMART კრიტერიუმების გამოყენებით.

სტრატეგიული დაგეგმარება არის თანამონაწილეობითი პროცესი. ეს ჩანს როგორც მეთოდოლოგიური დოკუმენტიდან, ისე სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის აღწერიდან და გასაუბრებიდან.

მეთოდოლოგია ადგენს, რომ სტრატეგიის შემუშავება უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრის მაქსიმალური ჩართულობით. სტრატეგიის პროექტის შემუშავებაში ჩართულია სტრატეგიის განვითარების ჯგუფი, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მმართველი რგოლის, პროფესორებისა და სტუდენტების წარმომადგენლებისგან. ეს მრავალმხრივი წარმომადგენლობა უზრუნველყოფს სხვადასხვა პერსპექტივისა და ინტერესების გათვალისწინებას.

პერსონალის ჩართულობა არის სისტემატური და მრავალდონიანი. სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის აღწერა მითითებს, რომ სიტუაციური ანალიზი უნდა განხორციელდეს საუნივერსიტეტო საზოგადოების მაქსიმალურად ფართო შემადგენლობის ჩართვით. აკადემიური პერსონალი ჩართულია სემესტრული სამოქმედო გეგმების შედგენაში და მათ ანგარიშს წარუდგენენ საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს. ინსტიტუციური განვითარების კუთხით, სტრატეგია დეტალურად განიხილავს ორგანიზაციულ განვითარებას როგორც ცალკე სტრატეგიულ მიმართულებას. ამ მიმართულების ფარგლებში განსაზღვრულია ამოცანები სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის, ელექტრონული სერვისების განვითარების, პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების, ბრენდის ცნობადობის ზრდის და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების შესახებ. კონკრეტულად გათვალისწინებულია ინსტიტუციური ეფექტურობის ინდიკატორების პილოტირება, უნივერსიტეტის გარე ინსტიტუციური შეფასება და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების მოდიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პირველი სტრატეგიული მიმართულება შეიცავს ცალკე ამოცანას ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების შესახებ. ეს ამოცანა მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების საერთაშორისო გარე აუდიტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამიზნე ნიშნულების შემუშავებას და პროგრამების მრჩეველთა საბჭოს ფორმირებას. ეს ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არ არის პერიფერიული საკითხი, არამედ სტრატეგიული პრიორიტეტი.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას ეთმობა სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. პირველი სტრატეგიული მიმართულების პირველი მიზანი სწორედ საგანმანათლებლო მომსახურების არეალის გაზრდას ეხება. ამ მიზნის ფარგლებში განსაზღვრულია კონკრეტული ამოცანები სარეზიდენტო პროგრამის, სამაგისტრო პროგრამების, სასერტიფიკატო პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის, აგრეთვე პროგრამების განახლებისა და კლინიკურ ბაზებთან თანამშრომლობის შესახებ.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ჩანს ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორებში. განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, მათი საშუალო ქულის, საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის, ბაზრის წილის და სტუდენტების შენარჩუნების მაჩვენებლების შესახებ. ეს მაჩვენებლები კონკრეტული რიცხვებით აღწერენ მოსალოდნელ კონტინგენტს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში.

სტრატეგია მოიცავს ცალკე მიზანს სამეცნიერო კვლევის განვითარების შესახებ. ამ მიზნის ფარგლებში განსაზღვრულია ამოცანები საუნივერსიტეტო კვლევების განვითარების, ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელშეწყობის, კვლევის პოპულარიზაციის სტუდენტებში, აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების, პერიოდული საგანმანათლებლო ჟურნალის გამოცემის და კვლევის ადმინისტრირების შესახებ.

ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, ორგანიზაციული განვითარების მიმართულება შეიცავს ცალკე მიზანს პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და განვითარების შესახებ. ეს მიზანი მოიცავს აკადემიური პერსონალის დატვირთვის და შეფასების სისტემის დახვეწას, პროფესიული განვითარების უზრუნველყოფას, მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების სქემის ამოქმედებას, პერსონალის რაოდენობის ზრდას და სტაჟირების პროგრამის ამოქმედებას.
მატერიალური რესურსების და ინფრასტრუქტურის კუთხით, მესამე სტრატეგიული მიმართულება მთლიანად ეთმობა ინფრასტრუქტურულ განვითარებას. ამ მიმართულების ფარგლებში განსაზღვრულია ამოცანები საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების, სტომატოლოგიური კლინიკის ამოქმედების და უნივერსიტეტის კამპუსის განვითარების შესახებ.
სტუდენტური სერვისების თვალსაზრისით, ორგანიზაციული განვითარების მიმართულება შეიცავს ცალკე მიზანს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნის შესახებ. ეს მიზანი მოიცავს სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფას, კარიერული განვითარების მხარდაჭერას, კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სტრატეგიას, უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სისტემას და სტუდენტური თვითმმართველობის ფორმირებას.
სამოქმედო გეგმა კი უფრო კონკრეტიზებულია და თითოეული ამოცანისთვის განსაზღვრავს დეტალურ ქვეამოცანებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს და საჭირო რესურსებს. ეს უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული გეგმის ყველა ასპექტი ტრანსფორმირდება კონკრეტულ მოქმედებებად.

შემუშავებულია სამ დონიანი მონიტორინგის სისტემა: ანგარიშგება, ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორები და მონიტორინგო. პირველ დონეზე ფუნქციონირებს ანგარიშგების სისტემა, რომლის ფარგლებშიც სტრუქტურული ერთეულები აკადემიური წლის დასაწყისში ადგენენ წლიურ სამოქმედო გეგმებს და წარადგენენ მიმდინარე ანგარიშს ყოველი სემესტრის ბოლოს, ხოლო საბოლოო ანგარიშს წლის დასასრულს. ანგარიშში აუცილებლად აისახება სტრატეგიული ამოცანების შესრულება, ინდიკატორებთან შესაბამისობა და შეუსრულებლობის შემთხვევაში არგუმენტირებული დასაბუთება.
მეორე დონეს წარმოადგენს ინსტიტუციური შესრულების ოცდაოთხი ინდიკატორი, რომლებიც მოიცავს პერსონალის, სტუდენტების, ფინანსების და აკადემიური შედეგების მაჩვენებლებს. ამ ინდიკატორების შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად კალენდარული წლის ბოლოს, სამიზნე ნიშნულის მიღწევის წელს და სტრატეგიული გეგმის ვადის დასრულებისას.
მესამე დონის კონტროლს წარმოადგენს მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს. ვადამდელი მონიტორინგი შესაძლებელია დაინიშნოს ანგარიშის წარმოუდგენლობის, ინდიკატორებთან მნიშვნელოვანი აცდენის ან გარე შეფასების ნეგატიური შედეგების შემთხვევაში. მონიტორინგის ჯგუფი ამზადებს დასკვნას და საჭიროების მიხედვით გასცემს რეკომენდაციებს სტრატეგიული მიზნების დამატების, ამოღების ან

მოდიფიცირების თაობაზე, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის მოქნილობას და აქტუალურობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• უსდ-ს მისია • უსდ-ს სტრატეგიული გეგმა 2021-2027 • უსდ-ს სტრატეგიული რისკების მართვის გეგმა 2023 • სტრატეგიული დაგეგმარების და მონიტორინგის მეთოდოლოგია (2025) • BAU სტრატეგიული რისკების მართვის გეგმა 2023 • დეპარტამენტული სამოქმედო გეგმა • სამოქმედო გეგმა 2024-2026 • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027 2025 ცვლილებებით
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია* • *რეკომენდაცია 1*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
• **სასურველია მისიაში პირდაპირ იყოს ხაზგასმული დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადების კომპონენტი.**

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ *აკმაყოფილებს* ☒ ***ნაწილობრივ აკმაყოფილებს*** ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ანალიზი

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ანალიზი განხორციელდა ორი მდგენელის საშუალებით. პირველი - რამდენად იზრდება მოთხოვნა უსდ-ს პროგრამებზე; მეორე - რამდენად უზრუნველყოფს უსდ სტუდენტთა გაზრდილი (მოთხოვნილი) რაოდენობის ხარისხიან მომსახურებას.

პირველი მდგენელის ანალიზი განხორციელდა უსდ-ს დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების და გამოთხოვილი ანგარიშების საფუძველზე.
მიმდინარე პერიოდში უსდ-ს ჰყავს 815 აქტიური სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტი. შეჩერებული სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 121-ს, რაც საერთაშორისო სტუდენტების მთლიანი რაოდენობის 15%-ს, ხოლო მთლიანად სტუდენტების რაოდენობის 14%-ს წარმოადგენს.
აქტიური სტატუსის მქონე ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობა 36-ს შეადგენს, ხოლო შეჩერებული სტატუსის მქონე ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობა არის 3, რაც ადგილობრივი სტუდენტების მთლიანი რაოდენობის 8,3%-ს, ხოლო მთლიანად სტუდენტების რაოდენობის 0,36%-ს წარმოადგენს.
ამ ეტაპზე უსდ-ს მიერ მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 980-ს. აქტიური სტატუშის მქონე სტუდენტების თანაფარდობა ზღვრულ რაოდენობასთან არის 87%, რაც ნიშნავს, რომ უსდ-ს აქვს სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის 87%-ით შევსება. მთლიანად სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან შეადგენს 99,5%-ს, რაც ფაქტობრივად მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის სრულ შევსებას გულისხმობს. გარდა ამისა ექსპერთთა ჯგუფმა გაანალიზე უსდ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც ეხება ბაუ უნივერსიტეტით დაინტერესებული სტუდენტების განაცხადები. განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტისადმი ინტერესი კონცენტრირებულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. სულ შემოსული 1,681 განაცხადი წარმოდგენილია შვიდი ქვეყნიდან. ამ ანალიზიდან ჩანს, რომ ბაუ-ს პროგრამებზე ბაზარზე მოთხოვნა არსებობს.

რაც შეეხება მეორე მდგენელს, კერძოდ რამდენად შეუძლია უსდ-ს არსებული რესურსებით ხარისხიანად მოემსახუროს სტუდენტთა გაზრდილ რაოდენობას, ამის ანალიზი განხორციელდა ასევე გასაუბრებისა და უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. შესწავლა მოხდა რაოდენობრივად და თვისებრივად. რაოდენობრივი ანალიზი განხორციელდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით: (1) **საუდიტორიო რესურსები (იხ. სტნდარტი 7), (2) საგამოცდო ცენტრისა და ბიბლიოთეკის რესურსები (იხ. სტანდარტი 7), (3) პერსონალის ანალიზი (იხ. სტანდარტი 2), (4) კლინიკური რესურსების ანალიზი (იხ. სტანდარტი 7), .**

პერსონალის ანალიზი
უნივერსიტეტის საერთო პერსონალის შემადგენლობა ადმინისრაციული პეროსნალის ჩათვლით, რომელიც მოიცავს ყველა პროგრამას - მედიცინას, სტომატოლოგიას და ორ სამაგისტრო პროგრამას - შეადგენს 236 ადამიანს. აქედან, აკადემიური - 60, მოწვეული

- 131, ადმინისტრაციული- 45. აკადემიური პერსონალიდან პროფესორი - 16, ასოცირებული პროფესორი - 10, ასისტენტ-პროფესორი - 19, ასისტენტი - 15. აფილირებული აკადემიური პერსონალიდან პროფესორი - 13, ასოცირებული პროფესორი - 7, ასისტენტ პროფესორი - 17, ასისტენტი 12. უცხოელი აკადემიური პერსონალი - 12, უცხოელი მოწვეული პერსონალი - 10 , კვლევაში ჩართული უცხოელი პერსონალი - 7. დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის პროცენტული წილი პერსონალის მთლიან რაოდენობაში- 56%. ეს რიცხვი ნაწილდება ორ ძირითად კატეგორიად: 60 აკადემიური პერსონალი, რომლებიც არიან უნივერსიტეტის სრული განაკვეთით დასაქმებული მუდმივი კადრები, და 131 მოწვეული პერსონალი, რომლებიც მუშაობენ ნაწილობრივი განაკვეთით ან კონტრაქტის საფუძველზე.
აკადემიური პერსონალის 60 ადამიანი შეადგენს დაახლოებით 31.4 პროცენტს მთლიანი პერსონალისა, ხოლო მოწვეული პერსონალის 131 ადამიანი შეადგენს 67 პროცენტს. ეს თანაფარდობა მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად ეყრდნობა მოწვეულ პერსონალს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, რაც ერთი მხრივ უზრუნველყოფს მოქნილობას და წვდომას ფართო ექსპერტულ ბაზაზე, მაგრამ მეორე მხრივ ქმნის გარკვეულ დამოკიდებულებას გარე რესურსებზე და შეიძლება გამოიწვიოს სტაბილურობისა და მუდმივობის საკითხები. რაც შეეხება პერსონალისა და სტუდენტების საერთო თანაფარდობას, 191 პერსონალის გაყოფა 1,400 სტუდენტზე იძლევა თანაფარდობას დაახლობით ერთი პერსონალი 7,3 მეათედ სტუდენტზე.

მედიცინის პროგრამის პერსონალის დეტალურმა ანალიზმა აჩვენა რაოდენობრივი და სტრუქტურული მახასიათებლები. პროგრამაზე დასაქმებულია 36 აკადემიური პერსონალი და 68 მოწვეული პერსონალი, სულ 104 ადამიანი 1,250 სტუდენტისათვის. აკადემიური პერსონალის შემადგენლობა მოიცავს შემდეგ სტრუქტურას: შვიდი პროფესორი, ექვსი ასოცირებული პროფესორი, თორმეტი ასისტენტ-პროფესორი და თერთმეტი ასისტენტი. თითოეულ თანამდებობას აქვს განსაზღვრული ზღვრული საკონტაქტო დატვირთვა აკადემიურ წელიწადში: პროფესორებს 200 აკადემიური საათი, ასოცირებულ პროფესორებს 240 საათი, ასისტენტ-პროფესორებს 290 საათი და ასისტენტებს 350 საათი.
საკონტაქტო დატვირთვის თვალსაზრისით, პერსონალის მიერ უზრუნველყოფილი ჯგუფ-საათების რაოდენობა გამოითვლება შემდეგნაირად. შვიდი პროფესორის გამრავლება 200 საათზე იძლევა 1,400 ჯგუფ-საათს. ექვსი ასოცირებული პროფესორის გამრავლება 240 საათზე იძლევა 1,440 ჯგუფ-საათს. თორმეტი ასისტენტ-პროფესორის გამრავლება 290 საათზე იძლევა 3,480 ჯგუფ-საათს. თერთმეტი ასისტენტის გამრავლება 350 საათზე იძლევა 3,850 ჯგუფ-საათს. ჯამში, აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს 10,170 ჯგუფ-საათს.

მოწვეული პერსონალის 68 ადამიანი, თუ ვივარაუდებთ მათი რეალური დატვირთვის შესაძლებლობას (რომელიც შეიძლება იყოს 400 საათამდე, თუმცა დოკუმენტაციაში მითითებულია კონსერვატიული 100 საათი), იძლევა მნიშვნელოვან დამატებით რესურსს. თუ გამოვიყენებთ რეალისტურ შეფასებას 400 საათი მოწვეულ ლექტორზე, 68-ის გამრავლება 400-ზე იძლევა 27,200 ჯგუფ-საათს. აკადემიური პერსონალის 10,170

საათი პლუს მოწვეული პერსონალის 27,200 საათი ჯამში იძლევა 37,370 ჯგუფ-საათს, რაც წარმოადგენს ხელმისაწვდომ რესურსს.
მედიცინის პროგრამის საჭირო რესურსი გამოითვლება ყველა სასწავლო კომპონენტის ჯამით. სალექციო კომპონენტი მოითხოვს ორ ჯგუფს (რადგან ლექციაზე ჯგუფის ზომაა 120 სტუდენტი და 1,250 სტუდენტი ნაწილდება ორ ჯგუფად), თითოეული 1,749 საათი, რაც ჯამში იძლევა 3,498 საათს. სასემინარო კომპონენტი მოითხოვს თორმეტ ჯგუფს (რადგან სემინარზე ჯგუფის ზომაა 30 სტუდენტი და 1,250 სტუდენტი ნაწილდება დაახლოებით თორმეტ ჯგუფად), თითოეული 958 საათი, რაც ჯამში იძლევა 11,496 საათს. ლაბორატორიული კომპონენტი მოითხოვს ოცდაოთხ ჯგუფს (რადგან ლაბორატორიაზე ჯგუფის ზომაა 15 სტუდენტი), თითოეული 137 საათი, რაც ჯამში იძლევა 3,288 საათს. ჯამური საჭირო რესურსი შეადგენს 18,282 ჯგუფ-საათს.

როდესაც ვადარებთ ხელმისაწვდომ 37,370 ჯგუფ-საათს საჭირო 18,282 საათს, ვხედავთ, რომ პერსონალის რესურსი თითქმის ორმაგად აღემატება საჭიროებას. რეზერვი შეადგენს 19,088 საათს, ანუ დაახლოებით 104 პროცენტს, ხოლო დატვირთვა არის მხოლოდ 49 პროცენტი. ეს ნიშნავს, რომ საკონტაქტო დატვირთვის თვალსაზრისით, პერსონალის რესურსი სრულად საკმარისია 1,250 სტუდენტისთვის მედიცინის პროგრამაზე და აქვს მნიშვნელოვანი რეზერვი. პერსონალი არ წარმოადგენს შეზღუდვას სასწავლო საათების თვალსაზრისით და შეძლებს ყველა საჭირო ლექციის, სემინარისა და ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარებას.

სამაგისტრო პროგრამების პერსონალის ანალიზი ასევე აჩვენებს ადეკვატურ რესურსებს. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამაზე დასაქმებულია რვა აკადემიური და თერთმეტი მოწვეული პერსონალი, სულ 19 ადამიანი 30 სტუდენტისთვის. საჭირო რესურსი შეადგენს 974 ჯგუფ-საათს, ხოლო ხელმისაწვდომი რესურსი აღემატება 1,650 ჯგუფ-საათს, რაც იძლევა 69 პროცენტის რეზერვს. განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე დასაქმებულია ცხრა აკადემიური და თექვსმეტი მოწვეული პერსონალი, სულ 25 ადამიანი 30 სტუდენტისთვის. საჭირო რესურსი შეადგენს 971 ჯგუფ-საათს, ხოლო ხელმისაწვდომი რესურსი აღემატება 1,600 ჯგუფ-საათს, რაც იძლევა 65 პროცენტის რეზერვს.
ორივე სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს ყველა სამიზნე ნიშნულს და აქვს კომფორტული რეზერვები როგორც საკონტაქტო დატვირთვის, ისე პერსონალის თანაფარდობების თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ სამაგისტრო პროგრამები სრულად უზრუნველყოფილია პერსონალის რესურსით და არ წარმოადგენს შეზღუდვას უნივერსიტეტის მთლიანი ტევადობისთვის.

თვისებრივი ანალიზი

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, მათ შორის, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდით განპირობებული დატვირთვის ეფექტიან მართვას. ამასთან, შემდგომი რეალური ზრდის პირობებში მნიშვნელოვანი იქნება ინსტიტუციური პროცესების მიმდინარეობის კონტროლი, რათა უზრუნველყოფილი იყოს გაზრდილი სტუდენტური ნაკადების ადმინისტრირების უწყვეტობა და ხარისხიანი მომსახურება.
თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი, როგორც ეტაპობრივად მზარდი საგანმანათლებლო დაწესებულება, სწავლების ხარისხის შენარჩუნებისა და დეკლარირებული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, ყურადღებას უთმობს ორგანიზაციული პროცესების ეფექტურობას. ამ მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ISO 9001:2015). სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია უნივერსიტეტში მიმდინარე ძირითადი პროცესები, მათი თანმიმდევრობა და დოკუმენტური აღწერა, ხოლო სისტემის ფარგლებში რეგულარულად ხორციელდება პროცესების მონიტორინგი, ანალიზი და ეფექტურობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ქმედებები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია გამჭვირვალედ და გამიჯნულია ერთმანეთისგან. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია გამართულია.
თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის შემუშავებულია პროცესების რუკა, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი დეპარტამენტის უფლებამოსილებებს, აგრეთვე იმ პროცესებს, რომლებიც სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით ან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. პროცესების ანალიზის შედეგად რიგ შემთხვევებში გამოვლინდა უფლებამოსილებების გადაფარვა, როდესაც კონკრეტული პროცესის განხორციელებაში მთავარ შემსრულებლად ერთზე მეტი სტრუქტურული ერთეული იყო განსაზღვრული. აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებში, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მარეგულირებელ დებულებებსა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებში. უნივერსიტეტში დანერგილია საქმიანობის სემესტრული დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემა. თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირი ამზადებს შესაბამისი სემესტრის სამოქმედო გეგმას, ხოლო მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირი უზრუნველყოფს აღნიშნული გეგმის შესაბამისობის დადგენას უნივერსიტეტის მიმდინარე სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმებთან.
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელ უმაღლეს წარმომადგენლობით კოლეგიურ ორგანოს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი, ვიცე-რექტორები და უნივერსიტეტის სრული დატვირთვით (A კატეგორია) დასაქმებული პროფესორები. აკადემიური საბჭოს კომპეტენციაში შედის საგანმანათლებლო პროგრამების, მათში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება, პროგრამების განხორციელების წესის, აგრეთვე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ერთეულების დებულებების დამტკიცება. საბჭო ასევე ამტკიცებს

უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის, განხორციელებისა და შეფასების წესებსა და პროცედურებს, ადგენს სამეცნიერო კვლევის ეთიკის სტანდარტებს და ქმნის სამეცნიერო კვლევის ეთიკის კომისიას. ამასთან, აკადემიური საბჭო ამტკიცებს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების შეფასების, ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პოლიტიკებს, განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭო ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს და ასრულებს მისი დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. მონაცემების ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ხორციელდება კნონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამოყენება, ქმნის საფუძველს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის პირობებში პროცესების გამართული და გამჭვირვალე მართვისთვის. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელიც განახლებულია 2024 წელს, რომელიც ითვალისწინებს პოტენციური რისკების ანალიზს, მართვას და უწყვეტობის დაგეგმარებას, ასევე, მათი თავიდან აცილების ღონისძიებებს.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის არსებული პოლიტიკა ხელს უწყობს მისი მისიისა და მიზნების შესრულებას. საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატივები მნიშვნელოვანი რესურსია კონტინგენტის ზრდის პირობებში, რადგან უზრუნველყოფს როგორც პროგრამების მიმზიდველობის ზრდას, ისე პერსონალისა და სტუდენტების შესაძლებლობების გაფართოებას. ბოლო პერიოდში უნივერსიტეტმა დაამყარა თანამშრომლობა სამხრეთ კორეასთან, გაიზარდა გაცვლითი პროგრამების რაოდენობა სტუდენტების და პერსონალის ჩართულობით, თუმცა არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, იკვეთება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობა, რათა გაზრდილმა კონტინგენტმა მიიღოს საჭირო აკადემიური გამოცდილება და საერთაშორისო შესაძლებლობებზე წვდომა.

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

შეფასებაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ უსდ-ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში აქტიურად არიან ჩართულები ყველა შესაბამისი რგოლი, მათ შორის ადმინისტრაცია, აკადემიური და დამხმარე პერსონალი. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის საფუძველს სისტემური პროცესების მდგრადობისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტინგენტის გაზრდის პირობებში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი განხორციელებისთვის უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსები. არსებული რესურსი ფუნქციონირებს ეფექტიანად, თუმცა სტუდენტების რაოდენობის ზრდის პროცესში დადგება დამატებითი კადრების აყვანის საჭიროება, ელექტრონული მხარდაჭერისა

და ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმიზაცია, რაც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო პროცესის, ასევე ინსტიტუციური რესურსების უწყვეტ შეფასებას და გაუმჯობესებას. პროცესები მოიცავს მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს, შემდგომ ეტაპზე კი გადაწყვეტილებების მიღებას. კონტინგენტის ზრდის პირობებში ეს სისტემები უფრო მაღალი დატვირთვის ქვეშ მოექცევა, ამიტომ მნიშვნელოვანია შეფასების რესურსების ინტენსიფიკაცია, რათა ცვლილებები დროულად აისახოს გადაწყვეტილებებში. ხელმძღვანელობა ეყრდნობა ხარისხის შეფასების შედეგებს ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღებისას, რაც ადასტურებს მმართველობითი პროცესების კავშირებს ხარისხის მართვასთან. გაზრდილი კონტინგენტის პირობებში უნდა გაგრძელდეს შედეგებზე დაფუძნებული მენეჯმენტის პრაქტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესების მოქნილობა და დროული რეაგირება.

არსებული პერსონალის შეფასების სისტემა მოიცავს აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასებას, რაც ეფექტურად ხორციელდება. უსდ-ს ასევე აქვს შემუშავებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები), რაც ხელს უწყობს პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგილია ეთიკისა და ქცევის წესები, რომლებიც ვრცელდება როგორც სტუდენტებზე, ასევე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე. უნივერსიტეტის პერსონალის ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ქცევის სტანდარტებსა და საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს. ეთიკის კოდექსით დადგენილია კეთილსინდისიერების, სუბორდინაციისა და ანგარიშვალდებულების, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების პატივისცემის, შევიწროების დაუშვებლობის, ურთიერთპატივისცემის, კოლეგიალურობისა და გუნდური მუშაობის პრინციპები. ასევე, განსაზღვრულია პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდის დაუშვებლობა, ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემა, უნივერსიტეტის რეპუტაციაზე ზრუნვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და გარემოზე ზრუნვა.

ეთიკის კოდექსით რეგულირდება დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლები და წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოს დაკომპლექტების წესი განსაზღვრულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა

და საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით პირდაპირი ან ირიბი ჩარევის დაუშვებლობა. ამასთან, აღნიშნული ორგანოს დაკომპლექტების პროცესში უზრუნველყოფილია სტუდენტური თვითმმართველობის ჩართულობა. დისციპლინური წარმოების პროცედურა ითვალისწინებს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევას და მათ საფუძველზე დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას. ასევე, სავალდებულოა მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და დისციპლინური წარმოების პროცესში მონაწილე პირთა უფლებების დაცვა; დაცულია მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და წარმოების კონფიდენციალურობა. უნივერსიტეტში შექმნილია ეთიკის საბჭო, რომლის საქმიანობის მიზანია ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ეთიკური სტანდარტების დანერგვა, განვითარება და მათი ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა.

უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგილია პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი, რომელიც მოიცავს პლაგიატის (განზრახი და უნებლიე) და თვითპლაგიატის დეფინიციებს, პლაგიატის ძირითად ფორმებს, აგრეთვე მისი თავიდან არიდებისა და აღმოჩენის მექანიზმებს. დოკუმენტით განსაზღვრულია პლაგიატზე რეაგირების პროცედურა, საკითხის განმხილველი ორგანოს შემადგენლობა და პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური და სხვა პერსონალის მიმართ. პლაგიატის დაუშვებლობის პრინციპის პარალელურად, უნივერსიტეტის მიერ დადგენილია ყველა ტიპის აკადემიურ ნაშრომში არაორიგინალური ტექსტის გამოყენების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი (ციტირება, პერეფრაზირება, წყაროებზე მითითება და სხვა), რაც ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას. პლაგიატის პრევენციის, ავტორთა მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფისა და ნაშრომების ავთენტურობის დადასტურების მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს TurnItIn-ის პროგრამას. სისტემაში სავალდებულოდ იტვირთება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული ყველა ნაშრომი, ყველა საგრანტო პროექტი, აგრეთვე სტუდენტთა ის წერილობითი დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს აკადემიური ნაშრომის მომზადებას (ესსე, რეფერატი, კვლევითი ნაშრომი და სხვა).

უნივერსიტეტის უმაღლესი იერარქიის სამართლებრივი აქტებით (უნივერსიტეტის დებულება, სამსახურების დებულებები, სკოლის დებულება და სხვა) აღიარებულია აკადემიური თავისუფლების პრინციპები, რომელიც ვრცელდება როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, ისე სტუდენტებზე. ასევე, უზრუნველყოფილია კვლევის თავისუფლების პრინციპი, რომელიც იცავს კვლევაში ჩართულ ყველა პირს.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში დაზუსტდა და განვითარდა სამეცნიერო კვლევის ეთიკის პროცედურები. განახლდა სამეცნიერო კვლევის ეთიკის დებულება, რომელიც ადგენს უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის ფორმირების, საქმიანობის, საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესებს. დებულება განსაზღვრავს პერსონალის, სტუდენტებისა და მკვლევარების მიერ განხორციელებული კვლევის ეთიკური კომპონენტის შეფასების წესს.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტთა ნაწილი არ ფლობდა უნივერსიტეტის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსების, პლაგიატის პრევენციის წესების და TurnItIn-ის სისტემის შესახებ ინფორმაციას. ასევე, სტუდენტები არ იცნობდნენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკურ ნორმებს და წესებს აკადემიური ნაშრომების წერის პროცესში. აღნიშნულმა გარემოებამ აჩვენა, რომ არსებული კომუნიკაციის და ინფორმირების მექანიზმები არასაკმარისია სტუდენტების სრული ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, ამასთან, საჭიროა არსებული მექანიზმების გაძლიერება, საინფორმაციო შეხვედრების და ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზება, რაც კონტინგენტის ზრდის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• კლინიკების რესურსული პოტენციალი • კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია • ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროების განსაზღვრის მეთოდოლოგია • კონტიგენტის დაგეგმვის ანალიზი • უნივერსიტეტის სტრუქტურა; • უნივერსიტეტის წესდება; • უნივერსიტეტის დებულება; • აკადემიური საბჭოს დებულება; • სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • საქმისწარმოების წესი; • ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და შედეგები; • გამოკითხვის შედეგები; • პერსონალის ეთიკის კოდექსი; • სტუდენტური ეთიკის და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსი; • პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი; • კვლევის ეთიკის დებულება; • TurnItIn პროგრამული უზრუნველყოფის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები. •
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
R რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, განავითაროს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაზარდოს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები.

R რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების სისტემური ინფორმირება ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესებზე.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* • *რჩევა 1*

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
3.3 სწავლის შედეგების შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ახორციელებს ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან ორ საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსს და დიპლომირებულ სტომატოლოგს. ასევე უნივერსიტეტში არის ახალი ორი სამაგისტრო პროგრამა: განათლების ადმინისტრირების პროგრამა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამა. ოთხივე პროგრამა საქართველოში მოქმედი რეგულაციების თანახმად, აკრედიტირებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს მიერ. მედიცინის, სტომატოლოგიისა და განათლების ადმინისტრირების პროგრამები თანხვედრაშია შესაბამის დარგობრივ მახასიათებლის დოკუმენტთან, ხოლო საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო

პროგრამა, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის არარსებობის გამო, შემუშავებულია ASPHER კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად.

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, შემუშავებას და განვითარებას ახორციელებს „საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურის“ საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების ეტაპებს. სამაგისტრო პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით, ამ პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“.

პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავების პროცესში ინსტიტუციას ჩართული ყავს აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები, ხოლო უკვე არსებული პროგრამის განვითარებაში ჩართული არიან სტუდენტებიც, მათ შორის კურსდამთავრებულებიც. სამედიცინო და სტომატოლოგიის პროგრამის შემუშავებისას და დაგეგმვისას ინტიტუციამ გათვალისწინა ბაჰჩეშეჰისრის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის გამოცდილება, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამის შემუშავებისას სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის (ADEE) მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებელიც, ადგილობრივი ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებელთა მოთხოვნები. გაითვალისწინეს ასევე სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვების შედეგებიც. ინსტიტუციამ ასევე გამოიყენა პროგრამის გადამუშავების პროცესში ქართულ და უცხოურ ბაზარზე არსებულ სხვა პროგრამებთან შედარებითი ანალიზის შედეგებიც.

მედიცინის პროგრამაზე სტუდენტის აკადემიური დატვრითვა გათვლილია 360 ECTS კრედიტით, ხოლო სტომატოლოგიაზე - 300 ECTS-ით. თითოეულ პროგრამაში 1 კრედიტი 30 საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის შესაბამისია, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება სხვადასხვა სასწავლო კურსებში განსხვავებულია. საბაზისო სასწავლო კურსებში ნაკლებია საკონტაქტო და მეტი დამოუკიდებელი საათები, ხოლო კლინიკურ სამედიცინო და სტომატოლოგიურ სასწავლო კურსებში ნაკლებია დამოუკიდებელი და მეტი საკონტაქტო საათი. საკონტაქტო საათებში გათვალისწინებულია სხვადსხვა სწავლების (ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, სწავლება სიმულაციურ გარემოში, სწავლება კლინიკურ გარემოში) და შეფასების ფორმის (ბლოკის და დასკვნითი გამოცდები) შესაბამისი აკადემიური დატვირთვა.
პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მისი სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შინაარსს და შესაბამისი განათლების საფეხურის დონეს, კერძოდ უმაღლეს განათლების ერთსაფეხურიანი თუ სამაგისტრო პროგრამებისთვის კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოთი განსაზღვრულ

დონეს (VII დონის შესაბამისი, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით), ასევე დიპლომირებული მედიკოსისა და დიპლომირებული სტომატოლოგის მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მედიცინის პროგრამასთან მიმართებაში ინსტიტუციამ გაითვალისწინა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტები, თურქეთის საუკეთესო სამედიცინო პროგრამების სწავლის შედეგები და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები, ხოლო სტომატოლოგიის მიმართულებით - სტომატოლოგიური განათლების ევროპული ასოციაციის დარგობრივი კომპეტენციები და კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნები. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამა ეყრდნობა ASPHER კომპეტენციათა ჩარჩოს, ხოლო განათლების ადმინისტრირების პროგრამა - დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და UCLA, და ჯორჯიის უნივერსიტეტის კარგ პრაქტიკას ინტერდისციპლინარული განათლების ადმინისტრირების მიმართულებით.

სტომატოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია ევროპული სტომატოლოგიური განათლების დარგობრივი მახასიათებლის მსგავსად და მოიცავს 4 ძირითად სფეროს: პროფესიონალიზმს, უსაფრთხო და ეფექტურ კლინიკურ პრაქტიკას, პაციენტზე ორიენტირებულ მოვლას და სტომატოლოგია და საზოგადოებას.

მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგები დაჯგუფებულია 13 პუნქტად და მოიცავს როგორც დარგობრივ, ასევე ზოგად სწავლის შედეგებს, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მათი სავალდებულო სასწავლო კომპონენტების შინაარსს, ეროვნული თუ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ანალიზის მიგნებებს, დარგობრივი დოკუმენტით გათვალისწინებულ კომპეტენციებს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს შესაბამის კვალიფიკაციასთან მიმართებით.

პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენცია საშუალებას აძლევს მას დააკმაყოფილოს შესაბამისი დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო სწავლების კრიტერიუმები, დამოუკიდებელი სამედიცინო თუ სტომატოლოგიური საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად ან სწავლა განაგრძოს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე, სადოქტორო საფეხურზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა ექვსი აკადემიური წელია (12 სემესტრი) და ითვალისწინებს 360 ECTS კრედიტის დაგროვებას, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამის ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელია (10 სემესტრი) და ითვალისწინებს 300 ECTS კრედიტის დაგროვებას.

სამაგისტრო პროგრამების მოცულობა არის 2 აკადემიური წელი, შესაბამისად, 120 ECTS კრედიტი.

1 კრედიტი მოიცავს საკონტაქტო (ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, ლაბორატორიული, სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში სწავლება, გამოცდები) და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს და შეესაბამება 30 საათს. წელიწადში თითოეულ პროგრამაზე სტუდენტმა უნდა დაძლიოს 60 კრედიტი (1800 საათი).

მედიცინის პროგრამაში 22 ECTS კრედიტზე მეტი ეთმობა ბაზისური კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარებას. ხოლო 20 ECTS კრედიტზე მეტი ეთმობა სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარებას. პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტის მიერ ხდება პროგრამაზე გათვლილი მინიმალური კრედიტის დაგროვება (პროგრამის ყველა სავალდებულო კურსი და არჩევითი კურსების მინიმალური საჭირო რაოდენობა) და პორტფოლიოს ჩათვლა.

ორივე პროგრამა ინტეგრირებულია და დამყარებულია ორგანოთა სისტემების ფარგლებში ნორმისა და პათოლოგიის და საბაზისო და კლინიკური საგნების ლოგიკურ და თანმიმდევრულ ინტეგრაციაზე. კურიკულუმი ვითარდება მარტივიდან რთულისაკენ და სასწავლო კურსები დალაგებულია ერთმანეთზე დაშენების პრინციპით, ლოგიკურად აწყობილი წინაპირობების სისტემით.

პროგრამა ,,მედიცინა" დაფუძნებულია ნაწილობრივ ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე (ჰორიზონტალური, ვერტიკალური და სპირალური). პროგრამა ასევე ორიენტირებულია პერსონალურ და პროფესიულ განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით სწავლის განმავლობაში სტუდენტის აქტივობები და მიღწევები გროვდება პორტფოლიოში, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულია და მუდმივი უკუკავშირის მეშვეობით ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას და ახდენს ექიმის ძირითადი კომპეტენციების, თვითშეფასების და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უნარის შეფასებას.

უცხოელი სტუდენტი 12 კრედიტის მოცულობით ქართული ენის შესწავლისას, ხოლო ქართველი სტუდენტი 12 კრედიტის მოცულობით გერმანული ან თურქული ენის შესწავლისას, ასევე, იღრმავებს კომუნიკაციის უნარს, რაც ხელს უწყობს უცხოელ სტუდენტს, კლინიკური პრაქტიკის დროს, ქართულენოვან პაციენტთან და სამედიცინო პერსონალთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში, ხოლო ქართველ სტუდენტს, სხვა ენების არჩევის შემთხვევაში, უადვილებს გაცვლითი პროგრამით კლინიკურ პრაქტიკაზე უცხოენოვან პაციენტთან ურთიერთობას. ქართველ სტუდენტს შეუძლია გაიღრმაოს ინგლისური ენის კომუნიკაციის უნარიც B2, ან C1 დონის არჩევით.

მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამის სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება, სიმულატორების, მულაჟების/მოდელების გამოყენება, ლაბორატორიულ და კლინიკურ გარემოში მუშაობაში სტუდენტის ჩართვა. სტუდენტი სწავლის პირველივე წლიდან იწყებს, როგორც სამეცნიერო უნარების გამომუშავებას, ასევე იძენს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კლინიკურ და სიმულაციურ გარემოში. აღნიშნული უნარების განვითარება სტუდენტებში ეტაპობრივად ღრმავდება მომდევნო კურსებზე. პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება შესაბამისი მეთოდები. დიდაქიკური/ინტერაქტიული ლექციების და სემინარების გარდა გამოიყენება „სწავლება კლინიკურ გარემოში“და „სწავლება სიმულაციურ გარემოში“. „სწავლება სიმულაციურ გარემოში“ მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა: გვამთან მუშაობა, სიმულატორებთან და ანატომიურ
მოდელებთან მუშაობა. „სწავლება კლინიკურ გარემოში“ გულისხმობს რეალურ პაციენტთან მუშაობას, რომელიც ხდება კლინიკური როტაციებისა და კლინიკური პრაქტიკის ფარგლებში. კლინიკურ ქეისზე და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს გუნდურ და ინდივიდუალურ მუშაობის, გონებრივ იერიშს და კომუნიკაციურ აქტივობებს, ხორციელდება სემინარებზე. თითოეული გამოყენებული სწავლის მეთოდი შეესაბამება კურსის შინაარს და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შესატყვისობა კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან აისახება თითოეული სასწავლო კურსისთვის შექმნილ სწავლის შედეგების რუქაზე.

საბაზისო სასწავლო კურსებში მეტად გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. სამეცნიერო- კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით საბაზისო საგნებში ლაბორატორიული მუშაობა გამოიყენება, როგორც სწავლების მეთოდი (ბიოქიმიურ, მიკრობიოლოგიურ, გენეტიკურ, ჰისტოლოგიურ და ემბრიოლოგიურ მიმართულებებში).
პროგრამაში 339 საათი ეთმობა სიმულაციურ გარემოში სწავლებას (TSE) პროგრამა დასაწყისიდანვე(ჯერ კიდევ პირველი კურსის მოდულებში) ორიენტირებულია კლინიკური პრაქტიკული უნარების განვითარებაზე .სიმულაციურ გარემოში ანატომიურ თეატრში სტუდენტები მუშაობენ გვამზე და ანატომიურ მოდელებზე, ანატომიის და კლინიკური ანატომიის დისციპლინის ფარგლებში. პროგრამაში გამოყენებულია ასევე ვირტუალური პაციენტის (BODY Interact) პროგრამა.
სტომატოლოგიურ სასწავლო კურსებში ფანტომებთან სამუშაოდ და ლაბორატორიებში სიმულაციურ მოდელებთან სამუშაოდ ასევე მეტი საკონტაქტო საათებია გამოყოფილი.

საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა შემდეგნაირია:მედიცინის პროგრამით (56%) არის საკონტაქტო, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამაში-58%-ს. სამაგისტრო პროგრამებში საკონტაქტო საათების წილი შეადგენს 35%-ს.

სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით კურსებში/მოდულებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები როგორც მედიცინის, ასევე სტომატოლოგიის პროგრამაზე.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის წვდომას ელექტრონული ბაზებზე: MedLine, Springer, Scopus, accessmedicto, Thieme MedOne Education; Clinical Key; Bates Visual Guide, რაც უზრუნველყოფილია პარტნიორი ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის მიერ და ხორციელდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ბაზებთან წვდომა შესაძლებელია არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან სტუდენტის ელექტრონული პროფილის მეშვეობით.

სამაგისტრო პროგრამების სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობების არსებობას, პრობლემის გლობალურ და ლოკალურ დონეზე გააზრებისა და რეალისტური და მიღწევადი ინსტრუმენტებით გადაჭრის უნარების დემონსტრირების შესაძლებლობის შექმნას.

სწავლების მეთოდები მოიცავს დარგის გამოწვევის შესატყვის დიდაქტიკურ მიდგომებს, როგორიცაა ჯგუფური სამუშაო პროექტები, კვლევით პრობლემაზე და ქეისის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება, “journal club”, PBL. CBL, Flipped Classroom, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებთან პრაქტიკული მუშაობა, და სხვა. ინტერაქტიული სალექციო და სასემინარო მეცადინეობების მეთოდოლოგია დაგეგმილია დარგის საჭიროებების შესაბამისად. კვლევითი კომპონენტი ინტეგრირებულია პროგრამაში ჰორიზონტალურად და სპირალურად.

მედიცინის პროგრამის თითოეული კურსის/მოდულის (ბლოკის) სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, და კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის/მოდულის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

სასწავლო კურსი/მოდული მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (მიმდინარე აქტივობები, შუალედური გამოცდა და დასკვნითი გამოცდა).

უნივერსიტეტში ადრე მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულია სისტემა LMS-ი გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა სტუდენტებში და ასევე საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებში და უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ღნიშნული კმაყოფილება და გადავიდა ახალი მართვის OIS სისტემაზე, ხოლო

გამოცდების ნაწილი 25-26 წლის გაზაფხულის სემესტრიდან დაგეგმილია რომ გადავა UBIT-ის სისტემაზე, რომელიც ბევრად უფრო უსაფრთხო და დაცულია.
დარგობრივ მახასიათებელთან თანხვედრაში ყოფნისთვისა მედიცინის პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსში ასევე ჩა შებრუნებული კლასის (flip class) მეთოდი (MED2003), კლინიკურ სასწავლო კურსებში CBCR (მაგალითად MED5022; MED4008) და სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება -WPBA (MED6003, 6004, 6006), ეს შეფასება ტარდება 360 გრადუსიანი შეფასების ფარგლებში.

სამაგისტრო პროგრამებში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია და მოიცავს ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი ანგარიშის, დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობის, მშობლიურ ან/და უცხოურ ენაზე ჩატარებული საჯარო პრეზენტაციების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, თანამშრომლობით მეთოდებსა და ჯგუფურ შეფასებას. აგრეთვე, კრიტიკული და კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნებსა და კომენტარებს საკუთარი (თვითრეფლექსია) თუ სხვა სტუდენტების (რეფლექსია) მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და შეფასების კომპონენტები შესაბამისობაშია აღნიშნული კომპონენტის მიზნებთან და ლოგიკურ ბმაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. ცოდნის შეფასება ხორციელდება ჯგუფური მუშაობით, ზეპირი და წერილობითი აქტივობით (ქვიზებით) ასევე ანალიტიკური სახის ნაშრომის მომზადებით. უნარების შეფასება ხორციელდება პრაქტიკული ხასიათის დავალებების შესრულებით, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, პროგრამა ითვალისწინებს როგორც შემაჯამებელი, ასევე განმავითარებელი შეფასებების გამოყენებას შეფასების მიზნებიდან გამომდინარე.
სამაგისტრო თეზისის შეფასება ხდება მთლიანობაში, ერთიანი დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს თეზისის ხელმძღვანელის, რეცენზენტებისა და თეზისის დაცვის კომიტეტის შეფასებებს.
უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს საგამოცდო ცენტრს შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.
გამოცდების შედეგების გასაჩივრება რეგულირდება გამოცდების ჩატარების წესის მიხედვით, სადაც გაწერილია დეტალურად გასაჩივრების მექანიზმი. დასკვნითი გამოცდები ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის მიზნით ტარდება კომისიური წესით და ხდება ვერბალური და OSCE-ს გამოცდების ჩაწერა. ჩანაწერი ინახება 24 საათი და ამ დროის განმავლობაში გასაჩივრების არ არსებობის შემთხვევაში, ნადგურდება.
სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების ერთობლიობა. პროგრამებისთვის ინსტიტუტი იყენებს შიდა, გარე საექსპერტო და კოლეგიალურ შეფასებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის დოკუმენტი
- საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო გეგმები
- მედიცინის სასწავლო კურსების სილაბუსები
- სტომატოლოგიის სასწავლო კურსების სილაბუსები
- განათლების ადმინისტრირების პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- სამაგისტრო პროგრამების განხორციელების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა
- დამსაქმებელთა გამოკითხვები
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები პროგრამებისთვის
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- გამოცდების ჩატარების წესი
- ინტერვიუს შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- *რეკომენდაცია 1*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- *რჩევა 1*

4. უსდ-ის პერსონალი

4.1. პერსონალის მართვა
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ბაუს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია: ▪ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მართვის ზოგადი პრინციპები და წესები; ▪ ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევისა და დანიშვნის წესი; ▪ ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სქემები და მექანიზმები; ▪ ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები; ▪ პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის მექანიზმები; ▪ ახალი პერსონალის სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროცედურები. ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევისას გამოიყენება ღია კონკურსის მეთოდი. კანდიდატების მოზიდვა ხდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელსა და დასაქმების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოცხადებული ვაკანსიის მეშვეობით. აკადემიური პერსონალის არჩევისას, ბაუში მოქმედებს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისი პროცედურები. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი აკადემიური პერსონალის არჩევის წესის შესაბამისად. მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღებაც ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე ან გამონაკლის შემთხვევაში, პირდაპირი შერჩევით რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად. აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ადამიანური რესურსისადმი დარგობრივი დოკუმენტის დამატებითი მოთხოვნების ჩათვლით (კლინიკური გამოცდილება იმავე

მიმართულებაში, კლინიკური მიმართულებით არჩევის შემთხვევაში კონკრეტული მიმართულების სერთიფიკატი).

ბაუში, ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რომელიც განსაზღვრავს აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატუსსა და როგორც მის ვალდებულებებს უნივერსიტეტის მიმართ, აგრეთვე, საპირისპიროდ, აფილირებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის შემხვედრ ვალდებულებებს. აფილირების შეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტი ვალდებულია სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს აფილირებული აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რაც მოიცავს უნივერსიტეტის სახელით მომზადებული პუბლიკაციებისა და სახელმძღვანელოების, განსახორციელებელი კვლევების, კონფერენციებში, ტრენინგებსა და ფორუმებში მონაწილეობის დაფინანსებას.

ბაუში სულ დასაქმებულია - 236 პერსონალი. აქედან, აკადემიური - 60, მოწვეული - 131, ადმინისტრაციული- 45. აკადემიური პერსონალიდან პროფესორი - 16, ასოცირებული პროფესორი - 10, ასისტენტ-პროფესორი - 19, ასისტენტი - 15. აფილირებული აკადემიური პერსონალიდან პროფესორი - 13, ასოცირებული პროფესორი - 7, ასისტენტ პროფესორი - 17, ასისტენტი 12, უცხოელი აკადემიური პერსონალი - 12, უცხოელი მოწვეული პერსონალი - 10 , კვლევაში ჩართული უცხოელი პერსონალი - 7. დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის პროცენტული წილი პერსონალის მთლიან რაოდენობაში- 56%.

ინსტიტუციაში შექმნილია მულტიკულტურული გარემო და მის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალად დასაქმებულია სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი, რაც საგანმანათლებლო გარემოს ინტერნაციონალიზაციის კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა უნივერსიტეტში მოკლე კურსებს ან ღია ლექციებს პერიოდულად ატარებენ ევროპული პარტნიორი უსდ-ების აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალური მექანიზმები, ხდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და თვითშეფასება, ვლინდება გასაუმჯობესებელი მხარეები და საჭიროებები, პერსონალის გადასამზადებლად ტარდება ტრენინგები, ინტერვიურების პროცესში პერსონალმა დაადასტურა ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტის დაფინანსებით ან/და ორგანიზებით პერსონალის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში.

პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაზრდის მიზნით, ბაუს შემუშავებული აქვს ანაზღაურებისა და წახალისების პრინციპები, რომლებიც თავის მხრივ ითვალისწინებს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებს.

პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად უნივერსიტეტი იყენებს წახალისების და სტიმულირების სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის აღსანიშნავია: მადლობის გამოცხადება, ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემია), კარიერული ზრდის ხელშეწყობა (დაწინაურება),პროფესიული განვითარების დაფინანსება, მიღწევების დამადასტურებელი სერთიფიკატის მინიჭება, საუკეთესო შედეგებისა და მიღწევების შესახებ უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში ინფორმაციის განთავსება, დამატებითი „დეიოფი“, სხვადასხვა სახის საჩუქრის გადაცემა.

მოტივაციისა და სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება ე.წ მრავალკომპონენტიანი მექანიზმის მეშვეობით, რომელთა შეფასებაშიც ყოველსემესტრულად მონაწილეობენ შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

- სკოლის დეკანი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- სტუდენტები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
- სხვა აკადემიური და მოწვეული პერსონალი (peer review)

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საბოლოო შეფასებები თავს იყრის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, რომელიც ახორციელებს მიღებული შედეგების ანალიზს და რეკომენდაციების მომზადებას დაინტერესებული მხარეებისთვის.
ბაუს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში შემუშავებული აქვს პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურ ჩართვას სამუშაო პროცესში.

ბაუს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებული დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო, კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.
აკადემიური პერსონალის საშტატო აკადემიური დატვირთვა მოიცავს სააუდიტორიო (საკონტაქტო), არასააუდიტორიო და საოფისე საათებს.

ამ წესის შესაბამისად, გამოიყო აკადემიური პერსონალის დატვირთვის შემდეგი კატეგორიები:
A კატეგორია - სრული დატვირთვა, რაც გულისხმობს სააუდიტორიო (საკონტაქტო-სასწავლო), არასაკონტაქტო (კვლევითი) და საოფისე (საკონტაქტო ადმინისტრაციული) სამუშაოს შესრულებას აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის.
B კატეგორია - არასრული დატვირთვა, რაც გულისხმობს ძირითადად საკონტაქტო -

სასწავლო აკადემიური საათებს და მცირე ოდენობით არასაკონტაქტო - კვლევითი მუშაობის, საგამოცდო საკითხების მომზადების, გამოცდების ზედამხედველობის, წინარე და გამოცდისშემდგომი კონსულტირების შესრულების სამუშაოს აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის.

C კატეგორია - არასრული დატვირთვა, რაც გულისხმობს საკონტაქტო - სასწავლო საათების, საგამოცდო საკითხების მომზადების, გამოცდების ზედამხედველობის, წინარე და გამოცდისშემდგომი კონსულტირებას არააფილირებული აკადემიური პერსონალისთვის.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის განახლებული წესით განსაზღვრული აქვს, რომ აკადემიური პერსონალის საშტატო აკადემიური დატვირთვა მოიცავს საკონტაქტო/სააუდიტორიო, არასაკონტაქტო/არასააუდიტორიო და ოფისის საათებს.

საკონტაქტო საათები შეადგენს შტატის 34%-ს, არასაკონტაქტო 33%-ს და ოფისის საათები 33%.

სამუშაო დატვირთვის განაწილება განისაზღვრება კატეგორიების მიხედვით.

მაგალითად A კატეგორიის სამუშაო დატვირთვა განაწილებულია წელიწადში შესასრულებლად შემდეგნაირად:

პროფესორი: 200 სთ სამივე კომპონენტზე ცალცალკე (საკონტაქტო საათები,არასაკონატქტო საათები, საოფისე საათები)

ასოც. პროფესორი: საკონტაქტო საათები-240,არასაკონატქტო საათები-160,საოფისე საათები-200

ასისტ.პროფესორი: საკონტაქტო საათები-290,არასაკონატქტო საათები-110,საოფისე საათები-200

ასისტენტი:საკონტაქტო საათები-350,არასაკონატქტო საათები-50,საოფისე საათები-200)

B კატეგორიისთვის საკონატქტო საათები განისაზღვრება აკადემიური დატვირთვის ცხრილის შესაბამისად, არასაკონტაქტო საათები კი პროფესორისთვის და ასოცირებული პროფესორისთვის 50საათია, ხოლო ასისტენტ პროფესორისთვის და ასისტენტისთვის 30სთ.

პერსონალის საკონტაქტო-სააუდიტორიო დატვირთვა სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს:

- პროფესორისათვის საშუალოდ 7 საათს კვირაში,
- ასოცირებული პროფესორისათვის საშუალოდ 8 საათს კვირაში,
- ასისტენტ-პროფესორისათვის საშუალოდ 10 საათს კვირაში
- ასისტენტისთვის საშუალოდ 12 საათს კვირაში.

საკონტაქტო აკადემიური დატვირთვის ცხრილის შექმნისას, დატვირთვის პრიორიტეტი ენიჭება A კატეგორიის პერსონალს სხვა კატეგორიებთან შედარებით, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს - არააფილირებულთან შედარებით, ხოლო აკადემიურ პერსონალს - მოწვეულ პერსონალთან შედარებით. A კატეგორიის აკადემიური პერსონალის დატვირთვა უნივერსიტეტში სულ ცოტა ორჯერ უნდა აღემატებოდეს მის ჯამურ დატვირთვას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ა/ებ)ში. B კატეგორიის აკადემიური პერსონალის დატვირთვა უნივერსიტეტში უნდა აღემატებოდეს მის ჯამურ დატვირთვას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ა/ებ)ში.

ბაუში აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლისთვის მონიტორინგს უწევს მის დატვირთვას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კერძოდ, QMS ბაზის მეშვეობით ამოწმებს აკადემიური პერსონალის დატვირთვას სხვა უსდ-ებში. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ყოველი სემესტრის დასაწყისში პერსონალს სთხოვს მიაწოდოს ინფორმაცია მათი დატვირთვის შესახებ სხვა სასწავლებლებში და ამით უზრუნველყოფს QMS ბაზის მონაცემებისა და უშუალოდ ლექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დადარებას. ეს არის არსებული ინფორმაციის ვალიდობის შემოწმების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. რაც შეეხება აფილირებული აკადემიური პერსონალის რესურსისა და შესაძლებლობების გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ეკრძალება სხვა უსდ-ში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, მას ეკრძალება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების შესახებ შეთანხმება. შესაბამისად, აფილირებული აკადემიური პერსონალის მთავარი დამსაქმებელი არის ბაუ და მხოლოდ ბაუსთან შეთანხმების შემდგომ აქვს მას უფლება დატვირთვა განსაზღვროს სხვა უსდ-ში. ეს მოთხოვნა ასევე გაწერილია აფილირებული აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებაშიც.

საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, უნივერსიტეტს დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები პერსონალთან მიმართებაში (ინსტიტუციური შესრულების ინდიკატორებით (KPIs) რითაც გაიზომება ინსტიტუციური პროგრესი სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შედარებით.

ინტერვიურების პროცესში პერსონალმა დაადასტურა კმაყოფილება ბაუ-ში შექმნილი კოლეგიალური ურთიერთთანამზრომლობაზე ორიენტირებული ჯანსაღი გარემოთი. ბევრმა მათგანმა აღნიშნა რომ წლობით იყვნენ დასაქმებული ბაუ-ში და აფილირების შეთავაზება როცა მიიღეს, პირობები ბევრად მიმზიდველი იყო ვიდრე სხვა

უნივერისტეტბში, შესაბამისად გახდნენ ბაუს აფილირებული პერსონალი. უმეტესობამ აღნიშნა ასევე რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყიო რეგიონში ინსტიტუციის იმიჯი, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვის ფაქტორი და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• ბაუს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა • ბაუს აკადემიური პერსონალის არჩევის წესი • ბაუს მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი • ბაუს აფილირების წესი და პირობები • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები • ბაუს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი • ინტერვიუს შედეგები
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები
რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. *კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია* • *რეკომენდაცია 1*
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* • *რჩევა 1*

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
ბათუმის საერთაშორისო უნივერსისტეს შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობათან. **„სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ დებულება**“ და **„სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესი”** განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისად დაინტერესებულ პირებისთვის აღნიშნული ინფორმაცია გამჭვირვალე და ხელმისწავდომია. ქართველ და უცხოელ სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას აღნიშნული საკითხების შესახებ და მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერისტეტში მიმდინარე პროცესების, აკადემიური კალენდრის და ფინანსური საკითხების შესახებ, რაც უშუალოდ დაკავშირებულია სტუდენტის სტატუის აღდგენის, შეჩერების და შეწყვეტის საკითხებთან. ქართველი აბიტურიენტების მიღება უნივერსიტეტში ხორციელდება ერთიანი როვნული გამოცდების საფუძველზე, უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს უნივერსიტეტის შესაბამის პროგრამაზე. რასაც შემდგომში მოჰყვება ადმინისტრაციული და ფინანსური რეგისტრაცია. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და მობილობის დებულების მიხედვით, ასევე განსაზღვრულია სტუდენტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლიც მნიშვნელოვანი ნაწილია უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება, რაც ხორციელდება განათლების ხარისხის განვიტარების ცენტრის მეირ. სტუდენტის სტატუსის მოპოვების სურვილის შემთხვევაში, უცხოელი აპლიკანტი რეგისტაციას გადის უნივერისტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ონლაინ აპლიკაციის მეშვეობით. აპლიკაციასთან ერთად აბიტურიენტმა უნდა წარადგინოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და ნიშნების ფურცლის ასლები, პასპორტის ასლი, ინგლისური ენის B1 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში), განათლების აღიარებაზე მინდობილობა და თანხმობა პირადი მონაცემების დამუშავებაზე. უცხო ქვეყანაში სწავლის შემთხვევაში დამატებით საჭიროა სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა გავლილი კურსებისა და შეფასებების შესახებ. არასრულწლოვანი აბიტურიენტის შემთხვევაში აუცილებელია მშობლის ან კანონიერად პასუხისმგებელი პირის წერილობითი თანხმობა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი. საფასურის გადახდის შემდეგ ტარდება ელექტრონული ინტერვიუ, რომლის მიზანია

აბიტურიენტის მოტივაციის, დარგობრივი ცოდნისა და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის შეფასება.
„აბიტურიენტების ცოდნისა და წინაპირობად შესაძლებელია განისაზღვროს:
ა) გასაუბრება;
ბ) კომპეტენციის გამოცდა პროგრამის განხორციელების ენაში;
გ) კომპეტენციის გამოცდა საბუნებისმეტყველო საგნებში.”
აბიტურიენტთან ტარდება გამოცდა ინგლისურ ენაში თუ მის მიერ არ არის წარმოდგენილი ინგლისურ ენაში არანაკლებ B1 ენობრივი კომპეტენციის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან/და აბიტურიენტს ზოგადი განათლების დამამთავრებელ საფეხურზე გათვალისწინებული საბუნებისმეტყველო საგნები არ აქვს ათვისებული ინგლისურ ენაზე არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 70% შედეგით. ამ მუხლის მიზნებისთვის საერთაშორისო აღიარებულ სერტიფიკატად მიიჩნევა IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore სერტიფიკატები. ინტერვიუსა და აპლიკაციის შედეგების მიხედვით განისაზღვრება აბიტურიენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება. ყველა შიდა პროცედურის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი მიმართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აბიტურიენტის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით. სწავლის უფლების მიღების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ფინანსური რეგისტრაცია და გააფორმოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.
უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ხდება საერთო სამაგისტრო და საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდის შედეგად. ერთიანი სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარების ჩემდეგ, სტუდენტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული დოკუმენტები, რაც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს: განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;არანაკლებ საბაკალავრო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ცნობა არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; 2 ფოტოსურათი 3X4; სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვი; სამაგისტრო გამოცდის ტესტის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ბრძანება ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ. ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore), ინგლისური ენის გამოცდისგან განთავისუფლების მოთხოვნით. (არსებობის შემთხვევაში)
შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდის კომპონენტები განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით და მოიცავს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის კომპეტენციის დადასტურებას, კანდიდატის მოტივაციის შეფასებას გასაუბრებით და შესაძლებელია მოიცვას სხვა კომპონენტები, რომლის დემონსტრირება აუცილებელია პროგრამის დასაძლევად.საუნივერსიტეტო

სამაგისტრო გამოცდების შედეგებით დგინდება მაგისტრანტობის კანდიდატების სია, რომლებმაც მოიპოვეს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება.
უნივერისტეტს ასევე წარმოდგენილი აქვს გარე და შიდამობილობის წესი. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობა ხორციელდება ორჯერ კალენდარული წლის განმავლობაში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადებში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დირექტორის მიერ მობილობის გამოცხადების შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით ადგენს მობილობისათვის განკუთვნილ ადგილებს, შესაბამის წელს მისაღები სტუდენტების ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ასევე მობილობის კანდიდატის მიერ გასავლელ პროცედურებს, ვადებს, და წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას. უნივერსიტეტს დეტალურად აქვს წარმოდგენილი გარემობილობის პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი, სადაც განსაკუთარებული მნიშვნელობა ენიჭება კრედიტების აღიარებას. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
უნივერისტეტს ასევე წარმოდგენილი აქვს სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის და შეწყვეტის წესი. სტუდენტის სტატუსი შეჩერების ჯამური მაქსიმალური ვადაა 5 (ხუთი) წელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი. სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას აღნისნული საკითხების შესახებ. ასევე, აღინიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებდამდე მათ კონსულტაცია ჰქონდათ უნივერსიტეტის წარმომადგენელთან, რომელმაც დეტალურად გააცნო მათი უფლებები და მოვალეობები. დაწესბეულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ნიმუში მოიცავს ყველა იმ ნიშვნელოვან საკიტხს, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სტუდენტისა და უნივერისტეტის თანამშრომლობის პროცესში.
ინტერვიუებისას, ასევე სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მინიჭებული აქვთ საგამოცდო შედეგების გასაჩივრების უფლება, რომელიც ხორციელდება გამოცდების ჩატარების წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სტუდენტს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტს საჩივრით, თუ ადგილი ჰქონდა გამოცდის ჩატარების პროცესის დარღვევას, საგამოცდო დავალებების შინაარსობრივ ხარვეზებს (სასწავლო პროგრამასთან შეუსაბამობას ან ტექნიკურ შეცდომას) ან შეფასების არაობიექტურად განხორციელებას. “ბაუ” უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია “ბაუ”-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით და ეფუძნება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს. ბაუ-ში სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერ ინტერესების დაცვის დამატებით ინსტიტუტს წარმოადგენს სტუდენტური ომბუდსმენი, რომლის ფუნქციაა სტუდენტთა უფლებრივი მდგომარეობის მუდმივი შესწავლა და მონიტორინგი, ხოლო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში-დროული და შესაბამისი რეაგირება. ომბუდსმენი ვალდებულია ყოველწლიურად მოამზადოს ანგარიში სტუდენტების

უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც აისახება გამოვლენილი პრობლემები, არსებული ხარვეზები და რეკომენდაციები. აღნიშნული ანგარიში წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად.
უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს გამოკითხვებს სტუდენტებთან, რათა აღმოფხვრილ იქნას ყველა ის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან. ამასთანავე, სტუდენტებს უფლება აქვთ, საჩივრით მიმართოს უნივერისტეტის ნიბისემიერი სტრუექტურული ერთეულის წარმომადგენელს და მიიაღოს შესაბამისი უკუკავშირი ყველა კანონიერი წესის დაცვით.

ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი განსაკუთარებულად ზრუნავს სტუდენტების ინფორმირების საკითხზე. სტუდენტებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ მუდმივად აქვთ საკონსულტაციო შეხვედრები მხარდაჭერას სხვადასხვა მექანიზმების, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტი სწავლისდაწყებისთანავე უზრუნველყოფოს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, რაც შეეხება აკადემიურ კალენდარს, სტუდენტურ სერვისებს თუ უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებს. აღნიშნულ საკითხს, სტუდენტებთან ინტერვიუებისას მიღებულ შედეგებთან ერთად, ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ გამართული აქტივობები. სწავლის დაწყების პირველივე კვირას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტებთან მართავს შეხევდრებს, საორიენტაციო კვირეულის ფარგლებში, სტუდენტები ეცნობიან უნივერსიტეტში არსებულ შეფასების მექანიზმებს, ელექტორნული პლატოფორმების გამოყენების სპეციფიკას, საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობის პროცედურებს და ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის.
„ბაუ“ აქტიურად ზრუნავს სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე, უნივერსიტეტში ფუნქნციონირებს სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე. სამსახურის საქმიანობა მოიცავს როგორც ინდივიდუალურ კონსულტირებას, ისე სისტემურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სტუდენტთა უნარების გაძლიერებაზე.
სტუდენტების კვლევით აქტივობებში ჩართულობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორიენტირი, რომელზეც სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტია პასუხისმგებელი. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუებსიას აღნიშნეს, რო მათ შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვხსხვა კვლევით აქტივობებში და გამოსულიყვნენ კონფერენციებზე. ასევე უნდა არინიშნოს ისიც, რომ სტუდენტები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი კვლევითი გრანტების განხორციელების პროცესში აკადემიურ პერსონალთან ერთად, უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური პერსონალის მეირ მოგებული გრანტების შესახებ ინფრომაცია, რომელშიც “ბაუ”-ს სტუდენტებიც არინ ჩართულები:

- სპეციფიური ონკოლოგიური მკურნალობის მეთოდების - სხივური თერაპიისა და ქიმიოთერაპიის ჩატარების დროს პირის ღრუს მდგომარეობის შეფასების,

პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების და პაციენტის ინფორმატიულობის როლი აღნიშნული მკურნალობების ეფექტურობის შეფასებაში; (ჩართულია 3 სტუდენტი)

- Rheumatoid arthritis in Georgia: prevalence, evaluation of ILD development risks, treatment approaches and progression assessment(ჩართულია 13 სტუდენტი);
- შაკიკის რეტროსპექტული კვლევა(ჩართულია 3 სტუდენტი);
- Sustainable Cellulose Hydrogels with Metal Nanoparticles for Wound Dressings;
- AI driven leveraging of STEM knowledge gaps among international medical students in Georgia (GAIN);
- Post-Treatment Lyme Disease Syndrome in Georgia: Insights from Retrospective Records and Patient-Reported Outcomes (2021-2025);
- Bridging the Gap: A Comprehensive Needs Assessment of Health Status and Service Access for Women Who Use Drugs in Georgia;
- ნაწლავისა და გულის ღერძის კავშირის (სეფსისი) კვლევა კარდიოოპერაციულ პაციენტებში.

კურსდამთავრებულებმა ასევე ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს უფასოდ სთავაზობს აშშ-ს სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (USMLE) მოსამზადებელ პროგრამას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ შანსებს საერთაშორისო კარიერული განვითარების გზაზე. ასევე, აქტიურად უჭერს მხარს ყველა საჭირო დოკუმენტაციის თავმოყრასა და მიწოდებაში.

უნივერსიტეტი აქტიურად უზრუნველყოფს სტუდენტთა კონსულტირებას კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე, პროფესიული მიმართულებების სწორად არჩევასა და კარიერული სტრატეგიის დაგეგმვაზე.სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული განვითარების სამსახური მუდმივად ავრცელებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ორგანიზებას უწევს შეხვედრებს დამსაქმებლებთან და კონსულტირებს სტუდენტებს CV-ის, სამოტივაციო წერილისა და პროფესიული პორტფოლიოს შედგენაში. სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია ინფორმაცია ვაკანსიების, სტაჟირებებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაცია ვრცელდება როგორც კორპორაციულ ელექტრონულ ფოსტაზე, ისე უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სტუდენტები ძალიან აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა სახის სტაჟირებებში, პრაქტიკას გადიან “ბაუ”-ს პარტნიორ კლინიკებში და იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას. უნივერსიტეტი მუდმივად ინარჩუნებს კავშირს საკუთარ კურსდამთავრებულებთან, რომლთა უდიდესი ნაწილი უცხოელია. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ძალიან დაეხმარა მათ საჭირო დოკუმენტაციის მიღებაში.

უნივერისტეტში მუდმივად ტარდება სემინარები და ვორქშოფები კარიერული უნარების გასაუმჯობესებლად: ეფექტური კომუნიკაცია, დროის მართვა, გასაუბრების ტექნიკები, პროფესიული ეთიკა და ლიდერული კომპეტენციები.

დამსაქმებლები ძალიან აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროგრამებისა და პროცესის დაგეგმვაში. დამსაქმებელებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

ინტერვიუებმა დაასატურა, რომ იცინი მუდმივად უზიარებენ დაწსებულებას თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს, რომელიც ინეგრირებულია სასწავლო პროგრამებში. მათ ასევე უშაუალო კავშირი აქვთ სტუდენტებთან, რომლებიც კლინიკებში ყოფველდღიურად გადიან პრატქიკას სხვადასხვა მიმართულებით.
"ბაუს" სტუდენტებისაკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო აქტივობებსა და გაცვლით პროგრამებში. მიმდინარე სემესტრში ბაუ-ის სტუდენტებმა ერთთვიანი კლინიკურ პრაქტიკა გაიარეს ჩეხეთში, დასავლეთ ბოჰემიისა და ოსტრავას უნივერსიტეტებში. ასევე, ერთი სტუდენტი აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტში იმყოფება Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი აკადემიური სემესტრის განმავლობაში.
2024–2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბაუ-ის სტუდენტი ჰანდენურ თარჰანი სამხრეთ კორეაში გაემგზავრა და ერთი თვის განმავლობაში გაიარა კლინიკური პრაქტიკა, სადაც გაეცნო ადგილობრივ კლინიკურ სტანდარტებს და აიმაღლა პროფესიული კომპეტენცია. ასევე, ორი სტუდენტი ფლორენციაში, ფლორენციის უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში, ერთთვიან კლინიკურ პრაქტიკას გაივლის, რაც უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ასევე, სტუდენტებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ ისინი იმყოფებოდნენ ბუბაიში საერთაშორისო კონფერენციაზე, უნივერისტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ბაუ აქტიურად ავითარებს თანამშრომლობას აღმოსავლეთ ევროპასთანაც: ერთი სტუდენტი Erasmus+ პროგრამის სრული დაფინანსებით სწავლობდა ლიეტუვის ჯანდაცვის მეცნიერების უნივერსიტეტში, ხოლო ორი სტუდენტი წინა სემესტრში ერთი აკადემიური სემესტრის განმავლობაში სწავლობდა რუმინეთში, არადის უნივერსიტეტში, ასევე Erasmus+ მხარდაჭერით.
ამასთან ერთად, უნივერსიტეტი უსდ ითვალისწინებს სტუდენტის სოციალურეკონომიკურ მდგომარეობას და ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს (მაგ., სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა და სხვა შეღავათები). აღნიშნული მექნიზმების შესახებ ინფრომაცია გამჭვირვალე და ხელმისწავდომია სტუდენტებისთვის. სტიპენდიის გაცემის და წახალისების წესი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე. ინტერვიუებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება მაქსიმალურად დაეხმარა მათ ფინანსური სიძნელეების დროს და გაუკეთა სხვადასხვა სახის შეღავათი, რამაც მათ სწავლის გაგძელების სასუალება მისცა. უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაც კიდევ ერთი დასტურია, რომ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ მხარი დაუჭირონ სტუდენტებს ფინანსური სიძნეელეების დროს.
აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, უნივერისტეტი სტუდენტების რაოდენობის გაზრდილი კვოტის ფაქრგლებში შეძლებს სათანადო მხარდაჭერის სერვისებით უზრუნველყოს სტუდენტები და წაახალისოს მათი საუნივერსიტეტო ცხოვრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „ბაუ"-ს სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ დებულება

- „ბაუ“-ს მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ დებულება
- „ბაუ“-ს სტუდენტთა ეთიკის კოდექსი
- „ბაუ“-ს გამოცდების ჩატარების წესი
- „ბაუ“-ს აკადემიური საბჭოს დებულება
- „ბაუ“-ს უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესი
- “ბას”-ს და სტუდენტს შორის გაფორმებუ;ლი ხელშეკრულების ნიმუში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- განხორციელებეული სტაჟირების და პრიაქტიკის პროგრამები
- დამსაქმებლებთა თანამშრომლობის შედეგები
- სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლები სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში
- უნივერისტეტის სტუდენტების ჩართულობა საგრანტო პროექტებში
- უნივერსიტეტის თვითმმართველობის დებულება
- ბაუს “სწავლის დაფინანსების მოპოვების წესი”
- სტუდენტური კონფერენციების მასალები
- უნივერსიტეტის მეირ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კონსულტაციები და აქტივობები
- ინტერვიუს შედეგები

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- *რეკომენდაცია 1*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- *რჩევა 1*

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევის განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს. დოკუმენტში განსაზღვრულია უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები. კერძოდ, ძირითადი მიზნებია: ➢ უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო კვლევის ხარისხის განვითარება; ➢ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კვლევითი პოტენციალის გაზრდა; ➢ კვლევის ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ადგილის დამკვიდრება; ➢ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის ზრდა; ➢ კვლევის გამოყენებადობისა და კომერციალიზაციის პოტენციალის რეალიზება; ➢ კვლევის გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და ეთიკის ხელშეწყობა. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ძირითადი კვლევითი პრიორიტეტები ხასიათდება მრავალმხრივი მიმართულებებით, რომელიც მოიცავს სამედიცინო განათლების ინოვაციურ მიდგომებს, მათ შორის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პერსონალიზებული სწავლების პლატფორმების განვითარებას. ბიომედიცინისა და მედიცინის მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სისხლის ჯგუფური ანტიგენებისა და ანტისხეულების დეტექციის სირთულეების კვლევას, ორსულებში იმუნოსენსიბილიზაციის საკითხებს, ახალშობილებში ჯგუფური ანტიგენებისა და ანტისხეულების ექსპრესიის თავისებურებებს, აგრეთვე აუტოიმუნური დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკის თანამედროვე მიდგომებს და სხვ. აღნიშნული პრიორიტეტები ადასტურებს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შესაბამისობას დარგის აქტუალურ გამოწვევებთან და მის პოტენციალს საერთაშორისო სამეცნიერო კონტექსტში ინტეგრაციისთვის. საანგარიშო პერიოდში განახლდა საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის წესი, რაც მიუთითებს ინსტიტუციური კვლევითი პოლიტიკის განვითარებაზე. განისაზღვრა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებადი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებას, სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობას,

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას, აგრეთვე სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების (კონფერენციები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები) ორგანიზების მხარდაჭერას. აღნიშნული მიდგომა ქმნის კვლევითი საქმიანობის სტიმულირების მრავალმხრივ და მოქნილ მექანიზმს.

დადებითად უნდა შეფასდეს საუნივერსიტეტო გრანტის დაფინანსების სქემის განახლებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაფინანსება შესაძლებელია მოიცავდეს კვლევის სრულ ან თანადაფინანსებას. დაფინანსების გამოყენების სფერო ფართოა და მოიცავს როგორც მკვლევართა შრომის ანაზღაურებას, ასევე კვლევითი მასალების, რეაქტივების და აპარატურის შეძენის ხარჯებს, მოწვეული მკვლევრებისა და კვლევაში ჩართული სხვა პირების კვლევითი აქტივობების ანაზღაურებას და სხვ. შეიცვალა კვლევითი პროექტების შეფასების მიდგომაც. საგრანტო განაცხადების შინაარსობრივ შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი დამოუკიდებელი საგრანტო კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამის სფეროში კვლევითი გამოცდილების მქონე გარე ექსპერტებისგან. უზრუნველყოფილია საგრანტო განაცხადების ავტორებისა და კომისიის წევრების კონფიდენციალობა. გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ კომისიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პროექტის მონაწილე გუნდის წევრების იდენტიფიცირება მათი სამეცნიერო პროფილის სიღრმისეული ანალიზის მიზნით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია პროექტის ზეპირი მოსმენის მექანიზმის გამოყენება.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის საგრანტო კონკურსის ფარგლებში ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის 15 კვლევითი პროექტი, ჯამში 285000 ევროს ღირებულით.

სამეცნიერო პუბლიკაციის დაფინანსების უფლებით სარგებლობენ უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, რომელთა სამეცნიერო ნაშრომებმა მიიღეს შემფასებელთა საუკეთესო შეფასება და ჟურნალში გამოქვეყნების რეკომენდაცია. დაფინანსების დიფერენცირებული მოდელი ეფუძნება ჟურნალების ხარისხობრივ კლასიფიკაციას: უნივერსიტეტი სრულად აფინანსებს Q1 დონის ჟურნალში ღია წვდომით გამოქვეყნებული სტატიის ხარჯებს, 75%-ით - Q2 დონის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის ღირებულებას და 50%-ით - სხვა რეფერირებად ჟურნალებში ღია წვდომით გამოქვეყნებული სტატიების ხარჯებს. აღნიშნული მიდგომა ასახავს უნივერსიტეტის სწრაფვას მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნის წახალისებაზე.

განახლდა სამეცნიერო კვლევის ეთიკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის ფორმირების, საქმიანობის, საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს და ქმნის სისტემურ ჩარჩოს უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტებისა და მკვლევრების მიერ განხორციელებული კვლევების ეთიკური ასპექტების შეფასებისთვის. დოკუმენტი ადგენს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ადამიანებზე ჩატარებული ყველა კვლევა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ეთიკური სტანდარტების დაცვით. აღნიშნული ცვლილებები მიუთითებს უნივერსიტეტის პასუხისმგებლიან დამოკიდებულებაზე კვლევითი საქმიანობის ეთიკური რეგულირების მიმართ და ხელს უწყობს კვლევის

ხარისხისა და ნდობის გაძლიერებას. ეთიკის კომიტეტის ერთ-ერთი მიზანია კვლევებში ჩართული მოხალისეების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს ჰელსინკის დეკლარაციის, აგრეთვე შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
ბოლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებულია 39 სამეცნიერო პუბლიკაცია, 16 პუბლიკაცია - სტომატოლოგიის პროგრამის პერსონალის მიერ, 12 - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამის ფარგლებში, ხოლო 3 - განათლების ადმინისტრირების პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ. ამასთან, უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა 9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში.
უნივერსიტეტში ყველა კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულია კვლევის პროდუქტიულობის მაჩვენებლები როგორც აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის კონკურსის ეტაპზე, ისე აკადემიური თანამდებობის დაკავების პერიოდში, რაც უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის სისტემურ შეფასებას. კვლევითი პოტენციალის გაზრდის მიზნით მოდიფიცირებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი. დადებითად უნდა შეფასდეს აკადემიური პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მათ შორის სახელფასო ტარიფის გადახედვა, რომელიც სავალდებულო წესით მოიცავს სამეცნიერო აქტივობების შესრულებასა და შესაბამის ანაზღაურებას აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციურ მნიშვნელობას და ქმნის დამატებით მოტივაციას აკადემიური პერსონალისათვის. სრული განაკვეთით დასაქმებული აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულია სამეცნიერო აქტივობის მინიმალური წლიური მოცულობა თანამდებობების მიხედვით: პროფესორისთვის - არანაკლებ 200 საათი, ასოცირებული პროფესორისთვის - არანაკლებ 160 საათი, ასისტენტ-პროფესორისთვის - არანაკლებ 110 საათი, ხოლო ასისტენტისთვის - არანაკლებ 50 საათი. აღნიშნული დიფერენცირებული მიდგომა შეესაბამება აკადემიური იერარქიის ლოგიკას და ხელს უწყობს კვლევითი საქმიანობის ხარისხიან და მიზნობრივ განხორციელებას. სამეცნიერო პროდუქტიულობის აღრიცხვა ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის შესაბამისად და ეფუძნება სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობის კომპონენტებისთვის განსაზღვრული შესაბამისი საათობრივი წონის მინიჭებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის ობიექტურ, გამჭვირვალე და შედარებად შეფასებას და ქმნის ერთიან ჩარჩოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი წვლილის აღრიცხვისთვის.
აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წლის პერიოდში აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა 23-დან გაიზარდა 49-მდე, რაც თავის მხრივ ქმნის კვლევითი პოტენციალის გაზრდის საფუძველს და შესაძლებლობას.
კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას ემსახურება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესში ასახული სიახლეები. კერძოდ, განსაზღვრულია არასააუდიტორიო დატვირთვის მინიმუმ 75%-ის შესრულების ვალდებულება სამეცნიერო საქმიანობის სახით, რაც პირდაპირი ინსტრუმენტია აკადემიური

პერსონალის კვლევითი აქტივობის ზრდისა და მეტი სამეცნიერო პროდუქტის შექმნის წახალისებისთვის. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს მაღალი ინდექსის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში (Q1, Q2) სტატიის გამოქვეყნების მაღალი საათობრივი შეფასება (200 საათამდე), რაც ხაზს უსვამს კვლევითი საქმიანობის ხარისხობრივ პრიორიტეტს. ამასთანავე, კვლევითი დატვირთვის მნიშვნელოვან კომპონენტად არის განსაზღვრული საგრანტო პროექტების მომზადება და მათზე ხელმძღვანელობა. სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, არასააუდიტორიო დატვირთვის ფარგლებში გათვალისწინებულია 10 საათი სტუდენტური პროექტის, სამეცნიერო ნაშრომის ან/და საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო კვლევით-საგრანტო პროექტების შემუშავებას, რისთვისაც დადგენილია არასააუდიტორიო დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა - 200 საათი. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს აფილირებული აკადემიური პერსონალის მოტივაციის გაზრდას საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი და აღიარებული კვლევითი პროდუქტების შექმნისათვის.

უნივერსიტეტის ლაბორატორიული რესურსები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევითი მიზნებისთვის. ლაბორატორიებში ხორციელდება სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კომპონენტები, მათ შორის სწავლება სიმულაციურ გარემოში, ლაბორატორიული სამუშაოები და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდები (OSPE). ამასთან, ლაბორატორიები გამოიყენება სტუდენტთა კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რაც ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციას. 2023 წლიდან დღემდე შესრულდა 12 კვლევითი ნაშრომი მეექვსე კურსის სტუდენტების ჩართულობით, ასევე, 22 რეფერატული ნაშრომი.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ მიღწეული მაჩვენებლების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პირობებში, უნივერსიტეტი გეგმავს ფინანსური მხარდაჭერის გაზრდას და ინფრასტრუქტური განვითარებას, კერძოდ:

- უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან კვლევისთვის წლიურად არანაკლებ 3%-ის გამოყოფა;
- სტუდენტური კვლევითი კონკურსების სისტემატური ჩატარება;
- საუკეთესო სტუდენტური კვლევების პრეზენტაციების ორგანიზება;
- საერთაშორისო საგრანტო პროგრამების მოძიება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;
- ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის განახლება/გაფართოება;
- თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მხარდაჭერის წესი და მექანიზმები;
- სამეცნიერო კვლევის ეთიკის დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი;

• აკადემიური პერსონალის და სტუდენტების კვლევითი აქტივობების მაჩვენებლები; • თვითშეფასების ანაგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები
არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. *კომპონენტის ნომერი - რჩევა* • *რჩევა 1*

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1 მატერიალური რესურსი
7.2 საბიბლიოთეკო რესურსები
7.3 საინფორმაციო რესურსი
7.4 ფინანსური რესურსი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულების მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☐ *აკმაყოფილებს* ☒ ***ნაწილობრივ აკმაყოფილებს*** ☐ *არ აკმაყოფილებს*

გთხოვთ აღწეროთ, გაანალიზოთ და შეაფასოთ დაწესებულების პირობების შესაბამისობა მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები
რაოდენობრივი ანალიზი: **სააუდიტორიო რესურსების ანალიზი** უნივერსიტეტს ამჟამად გააჩნია ხუთი სალექციო აუდიტორია, კერძოდ OB დარბაზი და NB09, NB12, NB13, NB17 აუდიტორიები, რომლებიც დაკომპლექტებულია შესაბამისი აუდიო-ვიზუალური ტექნიკით და ავეჯით. ეს აუდიტორიები მუშაობენ კვირაში 84 აკადემიური საათის განმავლობაში, რაც მოიცავს ექვს სამუშაო დღეს (ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით) და დღის განმავლობაში თოთხმეტ შესვლას. აკადემიური წლის განმავლობაში ეს აუდიტორიები ფუნქციონირებს 36 სასწავლო კვირის მანძილზე, რაც არ მოიცავს საგამოცდო კვირებსა და არდადეგებს. კალკულაციის მეთოდოლოგია ეფუძნება სივრცის ტევადობის, დროის რესურსისა და ჯგუფის ზომის ნამრავლს, გაყოფილს საჭირო საათების რაოდენობაზე. კონკრეტულად, ხუთი აუდიტორიის ნამრავლი 84 საათზე კვირაში, 36 კვირაზე წელიწადში და 120

სტუდენტზე (რაც არის მაქსიმალური ჯგუფის ზომა ლექციისთვის), გაყოფილი 1,749 საათზე (რაც წარმოადგენს მედიცინის ხუთწლიან პროგრამაში ლექციების ჯამურ რაოდენობას), გვაძლევს 1,037 სტუდენტის ტევადობას. ეს რიცხვი ნიშნავს, რომ არსებული სალექციო რესურსით უნივერსიტეტს შეუძლია მაქსიმუმ **1037** მედიცინის სტუდენტის სრული აკადემიური წლის განმავლობაში სწავლება. სტომატოლოგიის პროგრამის სალექციო რესურსი შეფასება იძლევა შემდეგ სურათს: უნივერსიტეტს გააჩნია ორი სპეციალიზებული სალექციო აუდიტორია სტომატოლოგიური განათლებისთვის, კერძოდ OB5 და OB6 აუდიტორიები. სტომატოლოგიის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც უფრო მცირემასშტაბიანია და მოითხოვს უფრო პირდაპირ სასწავლო გარემოს, ლექციაზე მაქსიმალური ჯგუფის ზომა შეზღუდულია 25 სტუდენტით. ანალოგიური კალკულაციის გამოყენებით, ორი აუდიტორიის ნამრავლი 84 საათზე, 36 კვირაზე და 25 სტუდენტზე, გაყოფილი 1,047 საათზე (რაც წარმოადგენს სტომატოლოგიის სპეციფიკურ ლექციებს, გამოკლებული პირველი კურსის საერთო ლექციები მედიცინასთან), გვაძლევს **144** სტუდენტის ტევადობას. თუმცა, უნივერსიტეტი სასწავლო რესურსების მართვისას იყენებს **ინტეგრირებული სწავლების მოდელს** რესურსების ოპტიმიზაციისთვის. კერძოდ, ეს გულისხმობს, რომ სტომატოლოგიის პროგრამის პირველი კურსის საბაზისო საგნები შინაარსობრივად იდენტურია მედიცინის პროგრამის საგნებისა, რის გამოც ამ სასწავლო კომპონენტში (401 საათის მოცულობით) ორივე პროგრამის სტუდენტები გაერთიანებულნი არიან ერთ ნაკადში. იმის ნაცვლად, რომ უნივერსიტეტმა გამოყოს დამატებითი აუდიტორია და ლექტორი სტომატოლოგებისთვის, ისინი ესწრებიან მედიცინის პროგრამისთვის უკვე ჩანიშნულ ლექციებს. შესაბამისად, ლოგისტიკურ გათვლებში ეს საათები უკვე ასახულია მედიცინის პროგრამის დატვირთვაში, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამის ჯამური საათებიდან (1448) გამოკლებულია, რათა არ მოხდეს ერთი და იმავე აუდიტორიული დროისა და სივრცის ხელოვნური გაორმაგება. ეს მიდგომა უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, ეფექტურად მართოს აუდიტორიული ფონდი და აკადემიური პერსონალი. უნდა აღინიშნოს რომ ზემოთ მოყვანილი ყველა გათვლები ხორციელდება იმ დაშვებით, რომ უნივერსიტეტს სრულად 100%-ით შეუძლია დატვირთოს არსებული რესურსი, თუმცა პრაქტიკაში გათვალისწინებულია ეფექტიანი მენეჯმენტის შემთხვევაშიც კი 80-90%-იანი დატვირთვა. ამ დაშვების გათვალისწინებით და პლუს ის რომ ზემოთ აღწერილი ოპტიმიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული საათების გათავლისწინებით უსდ-ს ხარისხიანად შეუძლია მოემსახუროს დაახლოებით 1180-1200 მედიცინის პროგრამის სტუდენტს. თუმცა, უნივერსიტეტის გეგმა ითვალისწინებს 1250 მედიცინის მიმართულების სტუდენტს. როდესაც ვადარებთ ხელმისაწვდომ ტევადობას (1180-1200) გეგმურ მოთხოვნას (1,250), ვიღებთ 50-70 სტუდენტის დეფიციტს, რაც შეადგენს დაახლოებით 4-4,5 პროცენტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სალექციო აუდიტორიების დატვირთვა 1,250 სტუდენტის შემთხვევაში იქნება 4 პროცენტი, რაც მცირედი აღემატება უსაფრთხო ზღვარს და გარკვეული პრობლემები შეიძლება შექმნას ნორმალური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის.

მედიცინის პროგრამისთვის გამოიყენება თორმეტი **სასემინარო აუდიტორია,** რომლებიც განაწილებულია ორ შენობაში. პირველ შენობაში განთავსებულია ხუთი აუდიტორია (OB1, OB2, OB3, OB4), ხოლო მეორე შენობაში განთავსებულია რვა აუდიტორია (NB1, NB8, NB7, NB10, NB14, NB15, NB16, NB18). ასევე არსებობს ერთი სტომატოლოგიური სასემინარო აუდიტორია (OB8), რომელიც გამოყოფილია სპეციფიკურად სტომატოლოგიის პროგრამისთვის. ამიტომ, მედიცინის პროგრამისთვის ხელმისაწვდომია თორმეტი სასემინარო აუდიტორია. სასემინარო მეცადინეობებზე ჯგუფის მაქსიმალური ზომა შეადგენს 30 სტუდენტს, რაც არის სტანდარტი ინტერაქტიული სწავლებისთვის, სადაც სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ დისკუსიებში და პრაქტიკულ სავარჯიშოებში. თორმეტი აუდიტორიის ნამრავლი 84 საათზე, 36 კვირაზე და 30 სტუდენტზე, გაყოფილი 958 საათზე (რაც წარმოადგენს მედიცინის პროგრამაში სემინარების ჯამურ რაოდენობას), გვაძლევს 1,236 სტუდენტის ტევადობას. ეს რიცხვი ძალიან ახლოსაა გეგმურ მოთხოვნასთან 1,250 სტუდენტი, მაგრამ მცირედით ჩამორჩება.
კონკრეტულად, სასემინარო აუდიტორიების დეფიციტი შეადგენს მხოლოდ 14 სტუდენტს, რაც არის დაახლოებით ერთი პროცენტი. დატვირთვა იქნება 101 პროცენტი, რაც ნიშნავს, რომ რესურსი იმყოფება კრიტიკულ ზღვარზე. ამ მცირე დეფიციტის დაფარვა შესაძლებელია რამდენიმე გზით: გრაფიკის უფრო ოპტიმალური განაწილებით, სარეზერვო სივრცეების (როგორიცაა პარტნიორ კლინიკებში არსებული აუდიტორიები) ეპიზოდური ჩართვით. ამიტომ, სასემინარო რესურსი არ წარმოადგენს აბსოლუტურ ბარიერს, არამედ მოითხოვს საგულდაგულო დაგეგმვას და მონიტორინგს.

როგოც უკვე ავღნიშნეთ, ზემოთ მოყვანილი ყველა გათვლები ხორციელდება იმ დაშვებით, რომ უნივერსიტეტს სრულად 100%-ით შეუძლია დატვირთოს არსებული რესურსი, თუმცა პრაქტიკაში გათვალისწინებულია ეფექტიანი მენეჯმენტის შემთხვევაშიც კი 80-90%-იანი დატვირთვა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტების რაოდენობის მოზიდვას აპირებს სამი წლის განმავლობაში. მას შეუძლია ამ პერიოდში ამ მცირე დეფიციტის აღმოფხვრა. გარდა ამისა უნივერსიტეტს გააჩნია ძლიერი კლინიკური ბაზები (კლინიკური ბაზების რაოდენობრივი ანალიზი იხ. ქვევით).

ლაბორატორიული სწავლების რესურსი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სფეროს, სადაც უნივერსიტეტს აქვს მნიშვნელოვანი სიმძლავრე და არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განკუთვნილია ექვსი ლაბორატორია, რომელთაგან ორი განთავსებულია პირველი შენობის მეორე სართულზე, ხოლო ოთახი განთავსებულია მეორე შენობის პირველ სართულზე. ეს ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ინსტრუმენტებით, მიკროსკოპებით, ანატომიური მაკეტებითა და სხვა საგანმანათლებლო მასალებით.

ლაბორატორიულ მეცადინეობებზე ჯგუფის ზომა შეზღუდულია 15 სტუდენტით, რაც აუცილებელია პრაქტიკული უნარების ეფექტური განვითარებისთვის და

უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამებში ლაბორატორიული სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ პირველ და მეორე კურსებზე, საერთო ხანგრძლივობით 164 აკადემიური საათი თითო სტუდენტზე. ამიტომ, ლაბორატორიული რესურსის კალკულაცია ხდება მხოლოდ ამ ორი კურსის სტუდენტებისთვის, არა მთელი პროგრამის ხანგრძლივობისთვის.

გათვლების შედეგად, ექვსი ლაბორატორიის ნამრავლი 84 საათზე, 36 კვირაზე და 15 სტუდენტზე, გაყოფილი 137 საათზე (რაც წარმოადგენს ლაბორატორიული სწავლების ჯამურ მოცულობას), გვაძლევს 1,659 სტუდენტის ტევადობას პირველ და მეორე კურსებზე ერთად, ორივე პროგრამისთვის. რეალურად, პირველ და მეორე კურსზე იმყოფება დაახლოებით 550-600 სტუდენტი (თუ ვივარაუდებთ საშუალოდ 275-300 ახალ სტუდენტს წელიწადში ორივე პროგრამაზე). ეს ნიშნავს, რომ ლაბორატორიული რესურსი აღემატება რეალურ საჭიროებას ათასზე მეტი სტუდენტის ტევადობით, ანუ რეზერვი შეადგენს დაახლოებით 176 პროცენტს.

ლაბორატორიების დატვირთვა იქნება მხოლოდ 36 პროცენტი, რაც მიუთითებს კომფორტულ და მართვად მდგომარეობაზე. ეს დიდი რეზერვი ნიშნავს, რომ ლაბორატორიული რესურსი არა მხოლოდ აკმაყოფილებს 1,400 სტუდენტის საჭიროებას, არამედ აქვს პოტენციალი მომავალი გაფართოებისთვისაც. ასევე, ეს რეზერვი უზრუნველყოფს, რომ ლაბორატორიების გაუმართაობის, რემონტის ან სხვა გაუთვალისწინებელი სიტუაციების შემთხვევაში, სასწავლო პროცესი არ ჩაიშლება.
სიმულაციურ გარემოში სწავლების რესურსი ასევე წარმოადგენს ძლიერ მხარეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში. უნივერსიტეტს გააჩნია სამი სიმულაციური სასწავლო სივრცე, რომლებიც შეადგენენ კლინიკური უნარების სწავლების ცენტრებს (TSE - Training in Simulated Environment). ეს ცენტრები აღჭურვილია სამედიცინო მანეკენებით, სიმულატორებით და სხვა თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ივარჯიშონ კლინიკური პროცედურები უსაფრთხო და კონტროლირებად გარემოში.
სიმულაციურ სწავლებაში ჯგუფის ზომა შეადგენს 30 სტუდენტს, რაც უზრუნველყოფს ბალანსს ინდივიდუალურ ყურადღებასა და ჯგუფურ სწავლებას შორის. მედიცინის პროგრამაზე სიმულაციური სწავლება მიმდინარეობს პირველიდან მესამე კურსამდე, ხოლო სტომატოლოგიის პროგრამაზე პირველ კურსზე ბიოსამედიცინო ნაწილი ერთობლივია მედიცინის პროგრამასთან. სამი სიმულაციური სივრცის ნამრავლი 84 საათზე, 36 კვირაზე და 30 სტუდენტზე, გაყოფილი 286 საათზე (რაც წარმოადგენს TSE სწავლების ჯამურ მოცულობას ამ კურსებისთვის), გვაძლევს 986 სტუდენტის ტევადობას.

რეალური საჭიროება მედიცინის პირველი-მესამე კურსებისთვის შეადგენს დაახლოებით 750 სტუდენტს (თუ ვითვალისწინებთ 1,250 სტუდენტის თანაბარ განაწილებას ხუთ კურსზე, რაც იძლევა დაახლოებით 250 სტუდენტს კურსზე, ხოლო სამ კურსზე 750 სტუდენტს). ეს ნიშნავს, რომ სიმულაციური რესურსი აღემატება რეალურ საჭიროებას 236 სტუდენტის ტევადობით, ანუ რეზერვი შეადგენს 31

პროცენტს. დატვირთვა იქნება 76 პროცენტი, რაც კომფორტულ დიაპაზონშია და უზრუნველყოფს ხარისხიან სასწავლო გარემოს.

სტომატოლოგიის პროგრამის მეორე-მეხუთე კურსებისთვის არსებობს სპეციალიზებული საფანტომო ცენტრი, რომელიც განთავსებულია პირველი შენობის მესამე სართულზე. ეს ცენტრი აღჭურვილია სტომატოლოგიური მანეკენებით, ფანტომებით, სტომატოლოგიური ინსტრუმენტებითა და აღჭურვილობით, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ივარჯიშონ სტომატოლოგიური პროცედურები რეალურ პაციენტებზე მუშაობამდე. ამ ცენტრის ტევადობა შეადგენს 164 სტუდენტს, ხოლო რეალური საჭიროება მეორე-მეხუთე კურსებზე (რაც არის დაახლოებით 100 სტუდენტი, თუ ვთვლით 25 სტუდენტს კურსზე და ოთხ კურსს) მნიშვნელოვნად ნაკლებია. რეზერვი შეადგენს 64 სტუდენტს ანუ 64 პროცენტს, ხოლო დატვირთვა იქნება 61 პროცენტი.

საგამოცდო ცენტრისა და ბიბლიოთეკის რესურსები

საგამოცდო ცენტრის რესურსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყურადსაღებ კომპონენტს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში, რადგან ის უშუალოდ გავლენას ახდენს სტუდენტების აკადემიურ შეფასებაზე და სასწავლო პროცესის დასრულებაზე. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი აღჭურვილია 101 კომპიუტერული ადგილით, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს სრულფასოვან სამუშაო სადგურს თანამედროვე კომპიუტერით, მონიტორით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. ეს ცენტრი მუშაობს ორი სრული განაკვეთის რეჟიმში, რაც ნიშნავს კვირაში 48 საათის ოპერირებას, რომელიც მოიცავს დილის, შუადღის და საღამოს ცვლებს.

საგამოცდო პროცესის ორგანიზაციის კონტექსტში, აკადემიური წლის განმავლობაში გამოცდები ტარდება სპეციალურ საგამოცდო პერიოდებში, რომლებიც მიჰყვება ყოველი სემესტრის სასწავლო კვირებს. დოკუმენტაციაში მითითებული მინიმალური საგამოცდო პერიოდი შეადგენს სამ კვირას, თუმცა პრაქტიკაში ეს პერიოდი ხშირად გაგრძელებულია ოთხ კვირამდე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა სტუდენტის შესაძლებლობა ჩააბაროს გამოცდები ადეკვატური დროის ფარგლებში. სტუდენტები აბარებენ საშუალოდ შვიდ საგანს თითოეულ სემესტრში, ხოლო თითოეული გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეზღუდულია ორი აკადემიური საათით.

თეორიული კალკულაციის თვალსაზრისით, თუ გამოვთვლით საგამოცდო ცენტრის წლიურ ტევადობას სამკვირიანი პერიოდით, მივიღებთ შემდეგს: 101 კომპიუტერის ნამრავლი 48 საათზე კვირაში და სამ კვირაზე იძლევა 14,544 საათს. ამავდროულად, 1,400 სტუდენტისთვის საჭირო რესურსი გამოითვლება როგორც 1,400 სტუდენტის ნამრავლი შვიდ საგანზე და ორ საათზე, რაც იძლევა 19,600 საათს. პირველი შეხედვით, ეს ნიშნავს დეფიციტს 5,056 საათით, ანუ 26 პროცენტის ნაკლებობას, რაც გამოიწვევს შეშფოთებას.

თუმცა, რეალური სიტუაცია უფრო რთული და ნუანსირებულია ვიდრე თეორიული გამოთვლები. პირველ რიგში, საგამოცდო პერიოდი რეალურად შეადგენს ოთხ კვირას, არა სამს. თუ ამ მონაცემს გამოვიყენებთ კალკულაციაში, საგამოცდო ცენტრის ტევადობა გახდება 101 კომპიუტერის ნამრავლი 48 საათზე და ოთხ კვირაზე, რაც

იძლევა 19,392 საათს. ეს რიცხვი უკვე ძალიან ახლოსაა საჭირო 19,600 საათთან და ნიშნავს დატვირთვას დაახლოებით 99 პროცენტის დონეზე.
მეორეც, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ არა ყველა საგანზე ტარდება კომპიუტერული გამოცდა საგამოცდო ცენტრში. ზოგიერთი დისციპლინა, განსაკუთრებით ის საგნები რომლებსაც აქვთ ძლიერი თეორიული ან ესეისტური კომპონენტი, ბარდება ჩვეულებრივ აუდიტორიებში წერითი გამოცდების ფორმატით. კლინიკურ საგნებზე კი გამოცდები ხშირად მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც ტარდება პარტნიორ კლინიკებში ან სიმულაციურ ცენტრებში, არა კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში. ამიტომ, რეალური დატვირთვა საგამოცდო ცენტრზე არის ნაკლები ვიდრე თეორიული მაქსიმუმი.

მესამეც, გამოცდები არ ტარდება ერთდროულად ყველა კურსისთვის და ყველა პროგრამისთვის. საგამოცდო გრაფიკი ფრთხილად არის განაწილებული დროში, სხვადასხვა კურსები და პროგრამები აბარებენ გამოცდებს სხვადასხვა დღეებსა და საათებში. ეს დროითი განაწილება მნიშვნელოვნად ამცირებს პიკურ დატვირთვას და საშუალებას იძლევა უფრო ეფექტურად გამოიყენოს საგამოცდო ცენტრის რესურსი. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ გამოცდის დრო რამდენიმე ხელმისაწვდომი ვარიანტიდან, რაც კიდევ უფრო ათავისუფლებს გრაფიკს.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგამოცდო ცენტრი შეძლებს 1,400 სტუდენტის მომსახურებას, თუმცა დატვირთვა იქნება მაღალი, დაახლოებით 95-99 პროცენტის დონეზე. ეს არის ზღვრული მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს ძალიან საგულდაგულო გრაფიკის დაგეგმვას და მონიტორინგს. პრაქტიკულად არ დარჩება რეზერვი გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის, როგორიცაა ტექნიკური გაუმართაობა, სისტემის ავარია და ა.შ.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საგამოცდო ცენტრი თეორიულად შეძლებს 1,400 სტუდენტის მომსახურებას, რეკომენდებულია მისი გაფართოება 20-30 კომპიუტერით, რაც გახდის საერთო ტევადობას 121-131 კომპიუტერს და უზრუნველყოფს 85-90 პროცენტის დატვირთვას. ეს არის ოპტიმალური დიაპაზონი, რომელიც ინარჩუნებს ბალანსს ეფექტურ გამოყენებასა და უსაფრთხოების რეზერვს შორის.

ბიბლიოთეკის რესურსი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სფეროს, სადაც უნივერსიტეტს აქვს არა მხოლოდ საკმარისი, არამედ ჭარბი ტევადობა 1,400 სტუდენტისთვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია სამკითხველო დარბაზები, რომლებში სულ არის 100 ადგილი სტუდენტებისთვის. ეს ადგილები კომფორტულად არის აღჭურვილი მერხებით, სკამებით, ნათურებითა და საჭირო სასწავლო რესურსებით. ბიბლიოთეკა მუშაობს ერთი და ნახევარი სრული განაკვეთის რეჟიმში, რაც ნიშნავს კვირაში 60 საათის ხელმისაწვდომობას. ეს გრაფიკი მოიცავს როგორც დილის, შუადღის, ისე საღამოს საათებს, რათა შეესაბამებოდეს სტუდენტების სხვადასხვა განრიგებსა და პრეფერენციებს.

აკადემიური წლის ხანგრძლივობა, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო, ისე საგამოცდო კვირებს, შეადგენს 40 კვირას (36 სასწავლო კვირა პლუს 4 საგამოცდო კვირა). ბიბლიოთეკის რესურსის კალკულაცია ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაზე დამყარებულ მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს საშუალო სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებულ დროს. კვლევები, რომლებიც ჩატარებულია წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტების მიერ და გამოქვეყნებულია Library Assessment-ის პორტალზე, მიუთითებს, რომ საშუალო სტუდენტი ატარებს დაახლოებით 50-დან 150 საათამდე ბიბლიოთეკაში აკადემიური წლის განმავლობაში, საშუალო მედიანური მაჩვენებლით დაახლოებით 100 საათი.

ბიბლიოთეკის წლიურ ტევადობას თუ გამოვთვლით, მივიღებთ შემდეგს: 100 ადგილის ნამრავლი 60 საათზე კვირაში და 40 კვირაზე წელიწადში იძლევა 240,000 სტუდენტ-საათს. ეს რიცხვი წარმოადგენს ბიბლიოთეკის ჯამურ შესაძლებლობას უზრუნველყოს სერვისი წელიწადში. ამავდროულად, 1,400 სტუდენტისთვის საჭირო რესურსი გამოითვლება როგორც 1,400 სტუდენტის ნამრავლი 100 საათზე, რაც იძლევა 140,000 სტუდენტ-საათს. როდესაც ვადარებთ ამ ორ რიცხვს, ვხედავთ, რომ ბიბლიოთეკის რესურსი თითქმის ორმაგად აღემატება რეალურ საჭიროებას.

კონკრეტულად, 240,000 საათიდან გამოკლებული 140,000 საათი იძლევა 100,000 საათის რეზერვს, რაც შეადგენს დაახლოებით 71 პროცენტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბიბლიოთეკის დატვირთვა იქნება მხოლოდ 58 პროცენტი, რაც წარმოადგენს ძალიან კომფორტულ და მართვად დონეს. ეს მნიშვნელოვანი რეზერვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ყოველთვის ექნებათ ადგილი ბიბლიოთეკაში, როდესაც მათ სჭირდებათ სწავლა, კვლევა ან მშვიდი გარემო ინდივიდუალური მუშაობისთვის.

კლინიკური რესურსების ანალიზი

უსდ აქვს თანამშრომლობს ოთხ კლინიკასთან: ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის (ბაუ), სამედიცინო ცენტრ „მედინა“, ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოსა და საზღვაო სამედიცინო სერვისი. ექსპერთა ჯგუფის მიერ დათვალიერებისა დ აუსდ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზმა აჩვენა, რომ ოთხივე დაწესებულებაში სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების პროცესი ეფუძნება ერთიან სტანდარტს, რომლის მიხედვითაც თითოეულ კლინიკურ ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალურად დაშვებადი რაოდენობა მკაცრად არის განსაზღვრული 8 პერსონით. კლინიკური რესურსების ყველაზე ფართო სპექტრით ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი გამოირჩევა, სადაც 71 სხვადასხვა პოზიციაზე ჯამში 568 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი (თუმცა გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ბევრად მეტი სტუდენტის მიღება არის შესაძლებელი). მას მოჰყვება სამედიცინო ცენტრი „მედინა“, რომელიც 33 მიმართულებით 264 სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს და განსაკუთრებულ აქცენტს მეან-გინეკოლოგიასა და პედიატრიაზე აკეთებს. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო თავისი 28 კლინიკური პოზიციით 224 სტუდენტის განთავსების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო საზღვაო სამედიცინო სერვისი 18 მიმართულებაზე 144 სტუდენტს ემსახურება. ჯამურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ოთხივე კლინიკის გაერთიანებული რესურსი მოიცავს 150 პასუხისმგებელ პირსა თუ კლინიკურ მიმართულებას, რაც სასწავლო პროცესში ერთდროულად 1,200 სტუდენტის ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.

უნივერსიტეტის გეგმა ითვალისწინებს ზრდას ამჟამინდელი 980 სტუდენტიდან 1,400 სტუდენტამდე, რაც ნიშნავს 420 სტუდენტის დამატებას. ეს 1,400 სტუდენტი მოიცავს ოთხ საგანმანათლებლო პროგრამას: მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამები ერთობლივად 1,250 სტუდენტით და ორი სამაგისტრო პროგრამა თითო 30 სტუდენტით. ჯამში: 1,250 (მედიცინა და სტომატოლოგია ერთად) + 60 (სამაგისტრო) = 1,310 სტუდენტი, რაც ახლოს არის 1,400-ის სამიზნე მაჩვენებელთან. დარჩენილი დაახლოებით 90 სტუდენტი შეიძლება განაწილდეს როგორც დამატებითი ადგილები ძირითად პროგრამებზე ან მომავალი პროგრამების განვითარებისთვის რეზერვი.

კონკრეტულად, ბიბლიოთეკის, საგამოცდო ცენტრისა (გარკვეული ოპტიმიზაციით) და აკადემიური პერსონალის საკონტაქტო საათების რესურსი უზრუნველყოფს 1,400 სტუდენტის მომსახურებას. თუმცა, სალექციო აუდიტორიები წარმოადგენს შეზღუდვას, სასემინარო აუდიტორიები და აფილირებული პერსონალის რაოდენობა კი იმყოფება ზღვრულ მდგომარეობაში და მოითხოვს ყურადღებას.

არსებული რესურსებით, უნივერსიტეტის რეალისტური ტევადობა შეადგენს დაახლოებით 1200 სტუდენტს მედიცინის პროგრამაზე, პლუს 80-100 სამაგისტრო პროგრამებზე, რაც ჯამში შეადგენს დაახლოებით 1280-1300 სტუდენტს. 1,400 სტუდენტამდე გასაზრდელად აუცილებელია ინფრასტრუქტურული ინვესტიციები და პერსონალის გაფართოება ეტაპობრივი მიდგომით სამი წლის განმავლობაში. ამ მხრივ უნივერსიტეტის მენეჯმენტმა აღნიშნა, რომ მათ აქვს გეგმა ინფრასტრუქტურული გაფართოების და კადრების მოზიდვის კუთხით.

თვისებრივი ანალიზი

უსდ გაფორმებული აქვს უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 2024 წლის 1 იანვარს ქალაქ ბათუმში. ხელშეკრულება ფარავს პერიოდს 2024 წლიდან 2029 წლის 1 იანვრამდე, რაც შეადგენს 5 წელს. იჯარის საგანს წარმოადგენს უნიბერსიტეტის შენობა, რომელიც მდებარეობს ქალაქ ბათუმში, ფრანგიშვილის ხალვაშის გამზირზე. ობიექტი მოიცავს 46 802.00 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ 13 277.63 კვადრატული მეტრის შენობა-ნაგებობას. საკადასტრო ნომერია 05.35.23.034. შენობის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამედიცინო დაწესებულებად, ასევე არსებობს საშუალება მისი რეკონსტრუქცია მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებად, კერძოდ უნივერსიტეტად.
უსდ-ს ადგილზე დათვალიერებისა და შენობის აზომვითი ნახაზის საფუძველზე დგინდება, რომ უსდ-ს აქვს შენობაში შემდეგი სავალდებულო ფართები: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორია, სასწავლო კაბინეტები, არქივი.

უსდ-ს მიერ წარმოდგენიალია შენობის აზომვითი ნახაზი, სადაც მოცემულია შენობა-ნაგებობის მახასიათებლები: **სართულიანობა:** შენობა არის 3 ან 4 სართულიანი (დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში მითითებულია 3 სართული და 4 სართული - სავარაუდოდ, მიწისპირა სართულის ჩათვლით). **სიმაღლე:** მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 11.59 - 12.90 მეტრს.

ფუნქციური განაწილება:

- **პირველი (მიწისპირა) სართული:** ადმინისტრაციის ოფისები, საგამოცდო ოთახი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, სასადილო და სამზარეულო.
- **მე-2 სართული:** აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზი.
- **მე-3 სართული:** აუდიტორიები, შეხვედრების ოთახი და ადმინისტრაციის ოფისები.
- **პარკინგი:** გათვალისწინებულია 35 ავტოსადგომი

ტექნიკური და უსაფრთხოების პარამეტრები

- **კოეფიციენტები:** დადგენილია კ1 = 0.5 (საპროექტო 0.1), კ2 = 1.8 (საპროექტო 0.4), კ3 = 0.1.
- **უსაფრთხოება:** საექსპერტო დასკვნა ადასტურებს პროექტის შესაბამისობას საქართველოს მთავრობის №41 დადგენილებასთან ("შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები").
- **ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები:** შენობა სრულად აღიჭურვება დაცვის სისტემებით, ხოლო გასასვლელ საშუალებად მოემსახურება 3 გზა-კიბე.
- **მისაწვდომობა:** უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზები და ლიფტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის

გეოლოგიური და კლიმატური პირობები

- სამშენებლო მოედანი მდებარეობს საშუალო თბილი და ტენიანი კლიმატის ზონაში.
- რელიეფი არის აკუმულაციური ტიპის, დახრილი სანაპიროსკენ, რაც გამორიცხავს ტერიტორიის დატბორვას ინტენსიური წვიმების დროს.

დოკუმენტი მოიცავს ასევე დეტალურ საკადასტრო გეგმებს, ნახაზებს და შენობის ექსპლუატაციისთვის საჭირო ტექნიკურ ცხრილებს.

სასწავლო სივრცეები: პირველ კამპუსში სტუდენტთა ტევადობა 330-მდე გაიზარდა (6 ძირითადი და 2 დამატებითი აუდიტორია). ახალ კამპუსში მოეწყო 12 აუდიტორია (650 სტუდენტზე), 100-კაციანი საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და თანამედროვე საგამოცდო ცენტრი 101 კომპიუტერით.

სტომატოლოგიური მიმართულება: მესამე და მეოთხე სართულებზე გაიხსნა თანამედროვე სტომატოლოგიური კლინიკა 10 სავარძლით, რადიოლოგიის ოთახით (ვიზიოგრაფია) და საერთაშორისო სტანდარტების სტერილური ზონით. ასევე, მოეწყო შესაბამისი პროფესიული და სიმულაციური ლაბორატორიები.

ლაბორატორიული ბაზა: პრაქტიკული სწავლებისათვის ხელმისაწვდომია 150 ადგილი. ორივე კამპუსში ფუნქციონირებს სპეციალიზებული ლაბორატორიები (იმუნოლოგია, ბიოქიმია, ემბრიოლოგია, ფიზიოლოგია და სხვა), რომლებიც

აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური მიკროსკოპებითა და Biopac-ის სადიაგნოსტიკო სისტემებით.

ინოვაციური სწავლება: ფუნქციონირებს PBL/CBL სადისკუსიო ოთახი და ტრანსფორმირებადი 12 OSCE ცენტრი, რომელიც ინტეგრირებულია ანატომიური კვეთის ლაბორატორიასთან.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტს გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, რომელიც აწესრიგებს სასწავლებლის ციფრული ეკოსისტემის ფუნქციონირების, უსაფრთხოებისა და განვითარების ფუნდამენტურ პრინციპებს. უნივერსიტეტი ორიენტირებულია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების სრულ ტექნოლოგიურ მხარდაჭერაზე, რაც მოიცავს როგორც მატერიალური ინფრასტრუქტურის მართვას, ისე ონლაინ სასწავლო პლატფორმების ეფექტურ გამოყენებას. პოლიტიკა დეტალურად განსაზღვრავს კიბერუსაფრთხოების სტანდარტებს, მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმებსა და პერსონალის პასუხისმგებლობებს ინფორმაციულ ინციდენტებზე რეაგირების პროცესში.

სტრატეგიული თვალსაზრისით, დოკუმენტი ხაზს უსვამს ტექნოლოგიური პროგრესის უწყვეტობას, რაც გულისხმობს არსებული სისტემების პერიოდულ აუდიტს, ძველი რესურსების თანამედროვე ალტერნატივებით ჩანაცვლებას და ამ პროცესებისათვის საჭირო ფინანსური ბიუჯეტის გარანტირებულ გამოყოფას. უნივერსიტეტის მიდგომა ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და კიბერჰიგიენის ნორმების დანერგვას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სტაბილურობასა და დაცულობას ციფრულ სივრცეში.

ბათუმის ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითის საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლებელი სტაბილურად ავითარებს აკადემიურ და ტექნოლოგიურ გარემოს. უნივერსიტეტმა წარმატებით მოახდინა არსებული კამპუსის ადაპტირება და ახალი სივრცეების ათვისება. მატერიალური ბაზის გაძლიერებას ადასტურებს თანამედროვე სტომატოლოგიური კლინიკის ექსპლუატაცია, რომელიც აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რადიოლოგიური და სტერილიზაციის სისტემებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის განკარგულებაშია მრავალპროფილური ლაბორატორიების ქსელი, მათ შორის ემბრიოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ფიზიოლოგიის მიმართულებით, სადაც გამოყენებულია მაღალტექნოლოგიური აპარატურა და სადიაგნოსტიკო სისტემები.

მედიცინის პროგრამის განხორციელებისათვის უსდ გააჩნია მატერიალურ-ტექნიკურ რესურსები და მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიულ აღჭურვილობა. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს კლინიკური უნარების (12 OSCE) ცენტრს და ანატომიური კვეთის ლაბორატორიას, რომელიც აღჭურვილია მრავალფუნქციური მანეკენებით პირველადი დახმარების, ინტრავენური კათეტერიზაციის, სამეანო-გინეკოლოგიური მანიპულაციებისა და პალპაცია-აუსკულტაციის შესასწავლად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციალიზებულ ლაბორატორიებს, როგორიცაა იმუნოლოგია-მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის სივრცეები, რომლებიც აღჭურვილია PCR ანალიზატორებით, გელელექტროფორეზის აპარატურით, ულტრაცენტრიფუგებითა და სხვადასხვა ტიპის ავტომატური პიპეტებით. ემბრიოლოგიის ლაბორატორია კი უზრუნველყოფილია "LEYCA"-ს ბრენდის პროფესიული მიკროსკოპებითა და შესაბამისი სასწავლო პრეპარატებით. აღნიშნული რესურსების ერთობლიობა ქმნის სრულფასოვან გარემოს როგორც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოსაყენებლად, ისე სტუდენტთა კლინიკური და კვლევითი უნარების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებისათვის.

დათვალიერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი: შენობა-ნაგებობა აღჭურვილია გამიჯნული სანიტარიული კვანძებით, რომლებიც უზრუნველყოფილია წყლით და მოწესრიგებულია სანიტარიულ-ჰიგიენური სტანდარტების სრულად დაცვით. სანიტარიულ ფართებს გააჩნია უწყვეტი განათებისა და ვენტილაციის სისტემები, ყველა სასწავლო სივრცე კი აღჭურვილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების წყაროებით. ნაგებობა მოიცავს ცენტრალურ გათბობის სისტემას, რომელიც ქმნის კომფორტულ პირობებს სასწავლო აქტივობებისთვის.
დაწესებულებას დანერგილი აქვს ხანძრისგან დაცვის, სამედიცინო მომსახურებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები და ფლობს აუცილებელ აღჭურვილობას. შენობის თითოეულ სართულზე, ხილვადი უბნების არეალში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები მათი გამოყენების დეტალური სახელმძღვანელოსა და ავტორიზებული ორგანოს მიერ დამტკიცებული ევაკუაციის სქემებით. ნაგებობას გააჩნია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელები.
პირველადი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად, დაწესებულებაში დასაქმებულია სამედიცინო პერსონალი ან შესაბამისად კვალიფიციური პასუხისმგებელი თანამშრომელი. ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, აღჭურვილი პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, რომელსაც აქვს ბუნებრივი ვენტილაცია და რეგულარულად მარაგდება ცხელი და ცივი წყლით.
დაწესებულება ახორციელებს უსაფრთხოების დაცვას შენობის სრულ პერიმეტრზე. უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილია დაცვის სამსახური. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შენობის სრულ შიდა და გარე ტერიტორიაზე დაინსტალირებულია ვიდეოთვალთვალის სისტემა ჩანაწერების შენახვის ფუნქციით. დაწესებულების შენობის ლოკაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური თუ ადმინისტრაციული კადრების უსაფრთხო და სასწავლო საქმიანობისთვის ხელსაყრელ გარემოს.
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ შენობაში თავისუფალი ორიენტირებისა და გადაადგილების საშუალება პანდუსების, ლიფტისა და სხვა დამხმარე მოწყობილობების საშუალებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის მოწყობილია შესაბამისად ადაპტირებული სანიტარიული ფართები, ხოლო შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია

სპეციალური ავტოსადგომი შეზღუდული მობილობის მქონე პირებისთვის, საიდანაც ხელმისაწვდომია უბარიერო მისასვლელი შენობამდე.

საბიბლიოთეკო რესურსები

საბიბლიოთეკო სივრცეები განაწილდა ორივე კამპუსში. პირველ სივრცეში, რომლის საერთო ფართობი 107 კვადრატული მეტრია, 100 კვადრატული მეტრი გადაკეთდა სტუდენტთა თავისუფალ და იზოლირებულ სამეცადინო ზონად. შვიდი იზოლირებული ოთახი, თითოეული დაახლოებით 25 კვადრატული მეტრის ფართობით, შესაძლებლობას იძლევა თითოეულში მინიმუმ თორმეტი სტუდენტის განთავსებისა. დამატებით განთავსებულია ხუთი ცალკეული სამუშაო მაგიდა სკამებით და ათი კომპიუტერი ათი სამუშაო მაგიდით, რაც საშუალებას იძლევა ერთდროულად 100 დან ას 120 მდე სტუდენტის მოთავსებისა.
მეორე სივრცე, 70 კვადრატული მეტრის ფართობით, მოიცავს ექვს კომფორტულ მოსასვენებელ სავარძელს, ოცდაექვს სამუშაო მაგიდასა და სკამს, რაც განკუთვნილია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისა და დასვენებისთვის. მესამე სივრცე აღჭურვილია შვიდი კომპიუტერითა და ერთი სმარტ ბორდით, ასევე შეიცავს 35 სკამსა და 17 დიდი ზომის მაგიდას, თითოეული ორი სტუდენტისთვის განკუთვნილი, რაც უზრუნველყოფს კომპიუტერული და სასწავლო რესურსებით სარგებლობას. მეოთხე სივრცე, 66 კვადრატული მეტრის ფართობით, სრულად ათვისებულია წიგნადი საცავით და განკუთვნილია სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოების შერჩევის, გატანისა და დაბრუნებისთვის.
აკადემიური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სტრატეგიული მნიშვნელობისაა ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც ბათუმის BAU-ს სტუდენტებს წვდომას აძლევს 850,000-ზე მეტ ერთეულ ბეჭდურ და ელექტრონულ სამეცნიერო რესურსთან. მთლიანობაში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში შექმნილია თანამედროვე, დაცული და რესურსებით მდიდარი გარემო, რომელიც სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნებს. წიგნადი ფონდის შევსება ხდება სამოქმედო გეგმის მიხედვით, სილაბუსების მიხედვით გასანახლებელია, ხანდახან დეკანათტან შეტანხმებით ხდება

IT

უსდ-ის ოფიციალური ვებგვერდი (https://bauinternational.edu.ge/) წარმოადგენს ძირითად საკომუნიკაციო და საინფორმაციო არხს, რომელზეც ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად - ხელმისაწვდომია საჭირო ინფორმაცია. პლატფორმაზე განთავსებულია უნივერსიტეტის მისიის, საქმიანობის და ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერა, სტუდენტთა მიღების წინაპირობები, საიტზე დეტალურადაა წარმოდგენილი სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აპარატის, პროფესორ-მასწავლებელთა და სამეცნიერო თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ

გამოიყენონ ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგი და გაეცნონ ყველა შიდა რეგულაციას და განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებს.

სტუდენტებისათვის ასევე განთავსებულია შემდეგი ინფრმაცია: აკადემიური კალენდარი, სამედიცინო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სასწავლო გეგმა, სტომატოლოგიიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სასწავლო გეგმა, სტუდენტთა გზამკლევი, პირველკურსელტა გზამკლევი, სტუდენტური თვითმართველობა, ომბუდსმენი, სტუდენტთა მზარდაჭერის სამსახური, კარიერული მხარდაჭერა, სტუდენტური კლუბები, სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

თუმცა უნივერსიტეტის ვებ გვერდზე არ ფიქსირდება შემდეგი ინფორმაცია: საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, მათ შორის პროგრამების კატალოგი, სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი კომპეტენციები და მინიჭებული აკადემიური ხარისხი. გარდა ამისა პლატფორმაზე არ არის ასახული როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მონაცემები.

ინსტიტუციური განვითარების პარალელურად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მყარ სამართლებრივ და ტექნოლოგიურ გარემოს. IT ინფრასტრუქტურის გამართულობა დასტურდება შპს „პროსერვისთან“ გაფორმებული დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებებით, ასევე აქტიური SSL სერტიფიკატებით მონაცემთა უსაფრთხოებისათვის. სასწავლო პროცესის მართვა ეფუძნება OIS და LMS სისტემებს, რომელთა მხარდაჭერასა და განახლებაზე პასუხისმგებელია კომპანია UBIT. აკადემიური რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს სტრატეგიული შეთანხმება ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტთან, რაც სტუდენტებსა და პერსონალს აძლევს წვდომას გლობალურ ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და მრავალათასიან სამეცნიერო რესურსთან.

ბათუმის ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითის საოპერაციო და უსაფრთხოების სისტემების ანალიზი აჩვენებს, რომ ინსტიტუციაში დანერგილია შენობის მართვისა და დაცვის კომპლექსური მექანიზმები. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია თანამედროვე VRF ტიპის გათბობა-გაგრილების სისტემით, რომლის გამართულობასა და პერიოდულ ტექნიკურ მომსახურებას ადასტურებს შესაბამისი ინსპექტირების აქტები და ფინანსური დოკუმენტაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მაღალი რისკის შემცველ სივრცეებს, როგორიცაა ანატომიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები, სადაც დამონტაჟებულია სპეციალიზებული HEPA ფილტრაციის სისტემები ჰაერის მაქსიმალური სისუფთავის უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის ფიზიკურ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

ახორციელებს კომპანია „ალგანი“ 24-საათიანი მონიტორინგისა და საგანგაშო ღილაკის სისტემის გამოყენებით. ინსტიტუციური მდგრადობისათვის კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებს საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამაშველო რეაგირების გეგმა, რომელიც ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტების ქცევის ნორმებს კრიზისულ ვითარებაში. აღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავს დეტალურ ევაკუაციის მარშრუტებსა და პასუხისმგებელ პირთა ფუნქციებს, რაც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ფინანსები

ბათუმის ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუციის მართვისა და ფინანსური მდგრადობის ფუნდამენტურ ჩარჩოს. უნივერსიტეტის მთავარი დებულება აწესრიგებს სტრუქტურულ იერარქიასა და მართვის ორგანოების უფლებამოსილებებს, სადაც ცენტრალური როლი ენიჭება რექტორს. იგი პასუხისმგებელია სტრატეგიულ, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობაზე პარტნიორთა კრებისა და აკადემიური საბჭოს წინაშე. დებულება ასევე დეტალურად აღწერს უფლებამოსილებათა დელეგირების წესებსა და ადმინისტრაციული ერთეულების ფუნქციონირების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას. ინსტიტუციურ მართვასთან მჭიდრო კავშირშია ფინანსური მართვის პოლიტიკა, რომელიც ადგენს ბიუჯეტირების, აღრიცხვისა და მონიტორინგის მკაცრ რეგლამენტს. დოკუმენტი პრიორიტეტად განსაზღვრავს რესურსების მიმართვას აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესებზე. ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს სტუდენტური აქტივობების, კარიერული მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის უწყვეტ დაფინანსებას, რაც სააღრიცხვო სტანდარტებთან ერთად ქმნის მყარ საფუძველს უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულებისათვის.

შემოსავლების გენერირების თვალსაზრისით, ბიუჯეტი თითქმის სრულადაა დამოკიდებული სწავლის საფასურიდან მიღებულ სახსრებზე, რაც მთლიანი ბიუჯეტის 99%-ს აღემატება, ხოლო დანარჩენი მცირე წილი ნაწილდება სახელმწიფო გრანტებსა და სხვა დამხმარე საოპერაციო შემოსავლებზე. ხარჯვითი ნაწილის დეტალური შესწავლა ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის მთავარი რესურსი ადამიანური კაპიტალია, რადგან შრომის ანაზღაურების წილი მთლიან ხარჯებში ნახევარზე მეტს, დაახლოებით 50.6%-ს შეადგენს. ეს მიდგომა ხაზს უსვამს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნებისა და განვითარების პრიორიტეტულობას.
აკადემიური ხარისხის მხარდაჭერისა და კვლევითი საქმიანობის მიმართულებით ბიუჯეტში გამოყოფილია მნიშვნელოვანი ასიგნებები. ბიბლიოთეკისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების უზრუნველყოფის ხარჯები მთლიანი

დანახარჯების დაახლოებით 7.3%-ს შეადგენს, ხოლო უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე ხარჯების 4.1% არის მიმართული. აღსანიშნავია ინტერნაციონალიზაციის პროცესების მხარდაჭერა, სადაც თარგმანისა და ნოტარიუსის მომსახურების წილი ხარჯების 2.7%-ს აღწევს, რაც უნივერსიტეტის საერთაშორისო სტატუსის გათვალისწინებით ლოგიკური პროპორციაა. ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მართვის ეფექტურობა დასტურდება კომუნალური, საიჯარო და ქონების გადასახადების შეწონილი წილით, რაც ჯამურად ხარჯვითი ნაწილის დაახლოებით 6%-ს არ აღემატება. მარკეტინგული და საიმიჯო აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი სტუდენტების მოზიდვასა და ბრენდის ცნობადობას, ხარჯების დაახლოებით 5.4%-ს მოიცავს. რესურსების ამგვარი პროპორციული განაწილება მოწმობს, რომ უნივერსიტეტი ინარჩუნებს ბალანსს მაღალტექნოლოგიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფასა და ადმინისტრაციულ ოპტიმიზაციას შორის, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ინსტიტუციურ სტაბილურობასა და განვითარების პოტენციალს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი; • მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • საგანმანათლებლო პროგრამები და მათში მითითებული გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და მისი შესაბამისობა მატერიალურ რესურსებთან; • ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები; • გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ექსპლუატაციის ვადა; • სანიტარიული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი. • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები; • საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი; • ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, უსაფრთხოების კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • წესრიგის უზრუნველყოფასა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები; • ადაპტირებული გარემო ან/და შემდგომი განვითარების გეგმა; • აუდიტის დასკვნები • უსდ-ს ბიუჯეტი; • უსდ-ის ბიუჯეტი, დაფინანსების დინამიკა, მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის • ფინანსური ანგარიშები, • პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებებისა და

ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა;

- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები;
- საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა.
- ადმინისტრირების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების წესი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;
- ინტერნეტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები;
- დომენი, ჰოსტინგი, სერტიფიკატი;
- უსდ-ის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, ადმინისტრირების წესი და შესაბამისი სამუშაო აღწერილობა;

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია უსდ-მ ვებ-გვერდზე განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია: საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის პროგრამების კატალოგი, სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი კომპეტენციები და მინიჭებული აკადემიური ხარისხი, ასევე როგორც მიმდინარე, ისე დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მონაცემები.
- სტუდენტების ხარისხიანი მომსახურების მიზნით რეკომენდებულია საგამოცდო ცენტრს დაემატოს 20-30 კომპიუტერი.
- რეკომენდებულია 1250 სამედიცინო პროგრამის სტუდენტისათვის უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი რაოდენობის სალექციო და სასემინარო აუდიტორიული რესურსი.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- *რჩევა 1*

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე)
2. დიანა მჭედლიშვილი (წევრი)
3. სალომე ვარანოვა (წევრი)
4. თამარ თხელიძე (წევრი)